1963 წელს თეატრმა დადგა „შესანიშნავი სამეული“ (კომპოზიტორი გ. ცაბაძე, ლიბრეტო — ხუნწარიასი). აფიშიები უწყებოდნენ, რომ ოპერეტაში ი. ვასაძე დომენტის როლს განასახიერებდა. ამ როლში ი. ვასაძე გვხმობავდა მამის, ჭარბავი გლეხის ტიპოური განსახიერებით. როცა ის სცენაზე გამოდიოდა, ვგრძნობდით, რომ თან შემოქმედდა მშობლიური მიწის უმჯი და სურნელი... ამას წინაა, „შესანიშნავი სამეული“ თეატრმა სახეიმი ვითარებაში მეორხად წარმოადგინა.

ი. ვასაძე გვიჩვენებს ღრმად მოხუცებისა და ახალგაზრდების როლებში. მისთვის უცხია „ამეული“. მას უფროსი განსაკუთრებული გრძნობა აქვს. მისი ტენორი გარგად „სწავდება“ ოპერეტის მრავალფეროვან სცენურ სახეებს. ერთი დეტალი: მსახიობი „შესანიშნავი სამეული“ ვუსმენდი. დამანტრება, როგორ შესდლო ხანში შესულ ადამიანად გარდასახულიყო. შესვენებაზე მასთან ავედი. როცა დაგრწმუნდი, რომ სახე ჩვეულებრივი თეატრალური ტილოთ ჰქონდა დაფარული და მხოლოდ გართლ აწყვილი უღვაში მივყარა, მეტი არაფერი — დალდა ვაოცდი.

ასვე სანტერესო და დამამსხვრებელი იყო ი. ვასაძე იმზე კალმანის ოპერეტაში „ციციკის პრინცესა“, უფროსი

კელნერის — მოხუცი პელიკანის განსახიერების.

სერიოზული მუშაობა დასჭირდა ი. ვასაძეს პელიკანის სახის შესაქმნელად. მსახიობმა მას მრავალი ახალი დეტალი შესძინა. კეთილშეგობილი, წყნარი მოხუცი, რომელსაც მთელი ცხოვრება სცვის ნასუფრალზე მზიარულებაში გაუტარებია, ი. ვასაძის განსახიერებით თეიკმაყოფილებს იფიტი შემოიბას.

1964 წელს თეატრმა ორი ოპერეტის დადგმა განახორციელა. ერთი იყო შ. მილორავას „ამ და ჩემი მეზობლები“ (აქ ი. ვასაძე კახა გუგუშვილის როლში ვიხილეთ), ხოლო მეორე — ა. ანდიაშვილის „რაც ვინახავს, ვეღარ ნახავ“, სადაც ი. ვასაძე მოურავის როლში მოგვევლინა.

1965 წელს კვლავ განახალა თეატრმა შ. მილორავას ოპერეტა „სომეღარი თინოლსუჟი“. ი. ვასაძემ კასიანეს როლი შესასრულა. საქართველოში იშვიათია კუბო, სადაც ოპერეტის „გმირებს“, კასიანე ბიძიასა და მის ვაიფივლს ჰმღვტებას არ იცნობდნენ. სოფლიდან ჩამოსული კასიანე, რომელსაც განურსახავს ჭრთამის სასწაულეებით შვილის უშუაღვლ სასწაულეებში ჩარჩიხება, ბიძისა ვერ აღწევს და სოფლისაკენ დამარცხებული მიმეზავრება.

საიფრედ კოლორიტულ ფერებში გადამოვეყმს ი. ვასაძე გურული გლეხის ხასიოს. მისი კასიანე მოძრავია და ხალისიანი. განსაკუთრებით დადგამასოფრდა იგი მეორე მოქმედებაში, როცა შეიჭვტობს, რომ არც თუ ისე ძნელი ყოფილა შვილისა კომედის სასწაულეებში მოწყობა. კარგი ამბით გახალისებული ბედის მაძიებელი თავს უსახვროდ კმაყოფილად გრძნობს და ცვეთი გამობხატავს თავის განწყობილებას.

1965 წელს დრამატურგმა ბ. ხუნწარიამ თეატრში ერთობ საყურადღებო პიესა წარმოადგინა. სანტერესო დრამატურგიუბმა ჩანაფიქრმა კომპოზიტორ ს. ნასიძეს საშუალება მისცა სანახაობისათვის გროვული კოლორიტის მიეჩვენება. ამას სტელი შეუწყვი იმ გარემოებამაც, რომ „სტუდენტები“ ერთგვარი ანგარიში იყო თეატრისა და დრამატურგისა სამაშალო ომის ძლევაშიშრდად დამთავრების ოცი წლისითათან დაკავშორებით.

„სტუდენტებში“ კარგად აისახა შესანიშნავი ადამიანისა და მოქალაქის სახე. ერთი მაგანი პროფესორი როსტომ ბერიას შვილია, ხოლო მეორე — მისი ფრინტის მეგობარი, კოლმეურნობის ოპერემობარე მუხტერი წილოსანი. ამ როლს ი. ვასაძე ანსახიერებს.

საბოლო, ადამიანურობა, სამშობლოსადმი თვადღების გრძნობა გამოიყოფის ი. ვასაძის პიროვნებაში. გვიხმობავს ამ ოპერეტის მაღალი აქტიურული შესრულება და სისადაცე, გრძნობათა სიწრფელი.

რესპუბლიკის სახალხო არტისტის კომპოზიტორ ა. კერესელიძის მიერ შექმნილი „ალუბლები ჰყვებიან“ მუხტე თეიფრედ (მსახიობი ი. ვასაძე) ქართული გლეხობის ყველაზე ყველაზე წარმომადგენელია. თეიფრედისა და სოფლის მკვდრია, ყველა ჩვენგანის ახლობელი და მეგობარია.

ვერ დავგონებთ თეიფრედს, ბუზუნა მიხვტის... შვილი ომში დაღუპა. იმედად შვილიშვილია შემორჩა. რა ჭნას, გიგონას ცხოვრებისა ზუს უნდა ვაკავსო. და აი, ამ დროს ლია თანასოფელი ახალგაზრდას, თნგოს გაუმეზუნრდა. ივის მოხუცმა, თნგო კარგად აღზრდილი ყმაწვილია, არ შეურაცხყოფს მის ჭაღარას, მაგრამ სიფრთხილესაც არ კარგავს, უჩინრად დასდევს ახალგაზრდას.

შუამდ უცაცხველს მიხვტი თენგოს. მხოლოდ მაშინ, როცა ვენგოს გადაჰკარვს, სიყვარული შესცქერის, ვალერსება... გამოხიზნულია და უშაღ უბრუნდება ჩვეული სიმაკედება.

ი. ვასაძემ ბაზუა თეიფრედის სახით ძალე წარმოგვიდგინა.

ინ ივის რამდენი დამე უფენბია ი. ვასაძეს ატკორ-რეიფორის სახის განსახუგე ცაბაძის ოპერეტაში „მიყვარს ჩემი ჭურა“ (ლიბრეტო დ. ჭუბარბიასი) და მაშინ, თეატრის მეორხედე საუბლილო სესონში, განსახიერებულ პროფესორ ჰენრი ჰიგინას როლზე. ფ. ლოს მიუხუცვლი „ჩემი მშვიტიერი ლდი“ (ბენარად შოუს „პიგბალითინი“) ის დრამატული სახე, შესესალური კომედის თეატრში ი. ვასაძის განსახიერებით იუმორის ფეიერვერკად აელვარდა.

მისტერ ჰიგინის მომდევ ი. ვასაძე ცნობილი იტალიელი მომდერლისა და კომპოზიტორის დომენიკო მოდუნისის ოპერეტა „შავ ურწმუნე რომი“ ვიხილეთ ყწად ცხვირსა გროტესკულში.

დავამსახვრდა ინტერმედია, სადაც ელრის დატუსაღავთი ალტაქიეული ყწადელი კვინტეტე ველური ალტაქიეებით ცვეკავს და მღერის: „გამოვიჩრეთ, რა კაცი... ამ დროს თეიფრედი ყწადე მითვისე დამახასიათებელი იფრსიხთ ვამოიჩრევა, განსაკუთრებით ჯე ცხვირსა. სიცილის გამომდევნია ყწინთ აღვსით ცხვირსა მოულმდევნეი შმეხილბი, ყწინბა, ტუნდუნული გამობხატული ცვეკვის მაგვარი მობრობა.

ტემპის გარეშე თამაში ი. ვასაძის შესანიშნავი თვისებია. მაშინცე კი, როცა მსახიობი სცენაზე თითქმის „უსაქმილ“ დგას, გარეგანი მობრბობისა და მიმოკის საშუალებით არ ტრევებს არცერთ მოვლენას რეაქიერების გარეშე.

ნიჭი და პასუხისმეკებლობის გრძნობა ხელს უწყობს ი. ვასაძის შემოქმედებით გამარჯვებაში. იგი დამოიღვე იმდროულ სასცენო ოსტატობას და მოწინავე შემოქმედთა რიგებში დგება.

ახალი ქართული ბალეტი

ნათო ჩხეიძე



სცენა ბალეტიდან „განთიადი“

კუმანისში — რამოლუმის უდიდესი წარმართველი ძალა — ასეთია ვახტანგ ჭაბუკიანისა და ფილიპე ლლონტის ახალი ბალეტის — „განთიადის“ საფუძველი.

სრულიად კანონზომიერ მოვლენად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ რევოლუციის თემამ განხორციელება ჰპოვა თბილისის საბალეტო თეატრის სცენაზე. სხვადასხვა განრულსა თუ სიუჟეტურ ასპექტში წარმოსახული სიკეთის, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ხალხთა ბრძოლის თემა გასდევს თითქმის ყველა ქართულ ბალეტს „მთების გულიდან“ „პოემა-ბალეტამდე“.

„განთიადი“ დიდ საიუბილეო ეტაპზე თითქმის აჯამებს ქართული საბჭოთა პროფესიული ქორეოგრაფიის განვითარების ხანმოკლე, მაგრამ მეტად მკაფიო გზას.

თანადროლობის დიდ იდეას „განთიადი“ საცქვეაო გამოშვებების ახალი სინთეზური საშუალებებით განახორციე-

ლებს. მასში რეალისტური საწყისის გვერდით მოქმედებს სიმბოლიკისა და ალგეორიის ელემენტები, ჟანრული გროტესკი და რევოლუციური პლაკატურობა; კლასიკური ცეკვის მკაცრი ფორმები შერწყმულია

სპორტის, აკრობატიკის გაბედულ მოძრაობებსა და პლასტიკასთან. ცნობილია, რომ თანამედროვეობა ხელუნებამში გამოიხატება სხვადასხვა ფორმით, იმის მიხედვით, თუ რა შინაარსი



სენა სპექტაკლიან

ძეგს მასში. არსებობს ხელოვნების თანამედროვე ფორმები მაიაკოვსკის, სიკეიროსისა თუ ბრეტის შემოქმედებაში, ისინი ახლებურად გამოხატავენ ეპოქის უდიდეს რევოლუციურსა და მსოფლიოს განმახლებელ იდეებს. ამავე დროს არსებობს თანამედროვე ფორმები დასავლეთის დეკადენტური ბურჟუაზიული ხელოვნებისა, რომელიც ფორმალისმის, აბსტრაქციულობისა და მისტიკის დაღით არის აღბეჭდილი.

„განთიადი“ ქართული ქორეოგრაფიის რეალისტურ-რევოლუციურ ტრადიციათა შემდგომ განვითარებად გვესახება. ახალი ბალეტი აერთიანებს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიჯნაზე მიმხნარ ისტორიულ მოვლენებს. სპექტაკლში არ არის მკვეთრად გამოხატული ერთიანი სიუჟეტური ხაზი და დრამატურული არქიტექტონიკა ჩვეულებრივი გაგებით. ძველი და ახალი სამყაროს

ბრძოლა აგებულია ისტორიულ მრეწველობის განვითარების ლოგიკაზე, ხალხისა და გმირთა ბედის წარმართველ მოვლენათა განზოგადებულ ფორმაზე. უბრალო ადამიანის — ჯერ გლეხის, მერე ჯარისკაცის, მუშისა და ბოლოს რევოლუციონერის ბრძოლა კქმნის სპექტაკლის გამჭოლ დრამატურგიულ ხაზს.

სიუჟეტურ-დრამატურგიული ინტრიგის უკმარის სრულიადც არ არილებს ეპოქის სოციალურ-ფსიქოლოგიურ წინააღმდეგობებს. დიდი ქორეოგრაფი და ნოვატორი ვახტანგ ჭაბუკიანი, რომელმაც მრავალმხრივად და ნათლად წარმოვისახა მის მიერ შექმნილ საბალეტო რეპერტუარში ბოროტისა და კეთილის ბრძოლის ფილოსოფია, აქაც პოულობს ამ ბრძოლის პლასტიკური გამოხატვის ახალ-ახალ მდიდარ ფორმებს, რომლებიც შეესიტყვებიან თანამედროვე ხელოვნების ესთეტიკურ მოთხოვნილებებს. სპექტაკლის ლიბრეტო მოგვითხრობს მოწინააღმდეგე სოციალურ ძალებზე. აქ არის რევოლუციის წინაღობის ხალხთა ბრძოლის სურათები: ჭაბუკთა გარეგვა მსოფლიო ომში, ქალის აუტანელი შრომა და მიწასთან ჭიდილი, სოფლების გალატაკება და გლეხთა გაქცევა ქალაქად, სადაც თავის მხრივ სუფევს საშინელი ორბიტრალი. ამ უწყსრივ ბრბოში გაიყვებნ რევოლუციონერთა მჭიდროდ შეგავმრებული ჯგუფი, რომელთაც ოსრანკის მაქებრები ასდევნებია.

ქარხნის მონიტორურსა და დაძაბულ რიგში ძნელად გაარჩევთ ადამიანსა და მანქანას. აქ, მძიმე ექსპლუატაციის მეუფებაში, პირველად იფეთქებს გუმინდელ მიწის მუშათა, დღევანდელ რევოლუციონერთა მიერ გაღვივებული პროტესტი. მათი ხვედრია კატორღა, ციხე და ბარიკადებზე სიკვდილი, მაგრამ მილიონთა მისისხნების ნაპრწყალი ტრანზის დამამზობელ რევოლუციური ბრძოლის ძლიერ ალად გადაიქცევა.

ნაწარმოებში ეროვნული სწორად გამოხატული არა იმდენად მისი ფორმით, ან ყოფისათვის დამახასიათებელი დეტალებით, არამედ შინაგანი წყობილებით, როგორც ბელონსკი ამბობდა — „საგანთა შეცნობის მანერით“. „განთიადის“ ფინალი, რომელშიც გადმოცემულია რევოლუციის გამარჯვება, ნაწილობრივ აგებულია რუსული სიმღერების მოტივებზე და ამით მინიმუმბულია ხალხთა რევოლუციურ ბრძოლაში რუსი ხალხის წარმართველი როლი. მთლიანად კი ახალი ბალეტი შექმნილია ქართული ქორეოგრაფიისათვის დამახასიათებელი რევოლუციური ჰეროიზმით, გრძობათა რომანტიკული აღმადფრენითა და პლასტიკური ექსპრესიით.

სანიტრესთა, რომ „განთიადის“ ეროვნული ხასიათი აღნიშნა გერმანული მუსიკალური კულტურის ცნობილმა მოღვაწემ



სცენა სპექტაკლიდან

გიუნტერ შაფრატმა. („ახალგაზრდა კომუნისტი“, 2. XII. 67 წ.) ჩვენს შეკითხვაზე, თუ რამ მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება საქართველოში — გიუნტერ შაფრატმა გვიპასუხა — „ქართულმა მუსიკამ, მწვენიერმა საქართველოში მთელი თავისი ადატ-წესებით და ბალეტმა „განთიადმა“, რომელიც ამას წინათ ვნახეთ ოპერისა და ბალეტის თეატრში. მე აღმადფრთვინა ამ ბალეტის დამდგმელის, მსოფლიოში ცნობილი ვახტანგ ჭაბუკიანის, თანამედროვეობის ამ უდიდესი ხელოვანის შემოქმედებამ, ბალეტის დინამიკურობამ და ახალ თანამედროვე ქორეოგრაფიულ ფორმებში ეროვნული ელემენტების ვირტუოზულად შესამებად კომპოზიტორ ფელიქს ლონტის მუსიკა ასრულებდა ჟღერს. ბალეტით მთლიანად ძალზე საინტერესო ნამუშევარია“.

„განთიადის“ მუსიკა ახალგაზრდა კომპოზიტორმა ფილიპე ლონტმა ლიბრეტოს ავტორთან და დამდგმელთან ვახტანგ ჭაბუკიანთან მჭიდრო თანამშრომლობით დაწერა. ამან განაპირობა სპექტაკლის ერთიანი მხატვრული წყობა — ნათელი ემოციური სისხაზე განზოგადებულ ინტონაციურ-

პლასტიკურ ფორმებში. ბალეტის ეს თვისება არ შეიძლება არ აღინიშნოს, რადგან ფორმათა განზოგადებისას ზოგიერთ თანამედროვე ბალეტს ეცლება ემოციური საფუძველი და სქემატიზმამდე დადის.

ფილიპე ლონტის მუსიკა გამოირჩევა იმპულსური რიტმით. შინაგანი ენერჯიითა და ელემენტარული მკვეთრი ზრდით; იგი მძაფრ დრამატულ ხასიათს ატარებს ბალეტის პირველ ნაწილში (ქალთა ტანჯვის სცენა, ქალიშვილისა და ინვალიდი ჭაბუკის შეხვედრის ეპიზოდი და სხვ.) და გმირულ-ზეიმურს — მეორე ნაწილში (გამარჯვებული ხალხის აპოთეოზი).


„განთიადის“ ქორეოგრაფიისა და მუსიკის რიტმული ელემენტების პოლიფონიზმს ქმნის თვით ხალხის ცხოვრების დაძაბული რიტმი — იმპერიალისტური ომიდან მოკიდებული, სიციხის დამამკვიდრებელ რევოლუციურ მარშამდე. ამის საპირისპიროდ ჟანრულსა და მწვავე სატირულ სურათებში ასახული მეფის ხროვის თარეში და რევოლუციის უეცარი ხილვის გამო პანიკური შიშით მოცული მაღალი საზოგადოება.

ამრიგად, ბალეტში მძაფრად არის და-

პირისპირებული ორი სამყარო — ბირქუმი წარსული, როცა ადამიანი დამინებული იყო ადამიანის მიერ და ახალი სამყარო — კაცობრიობის თავისუფლების სიმბოლო.

ლოგიკურად და ემოციურად განვითარებული მოქმედებებში არაფერია ზედმეტი, ვერ ნახავთ ვერც თვითონზურად გართულბულ საცეკვაო ფორმებს, რითაც ხანდახან სცოდავენ ხოლმე ახალი საბალეტო დადგმები. ადამიანური აზრი და გრძობა სცენაზე წარმოსახულია მაყურებლისათვის გასაგებია, ნათელი ქორეოგრაფიული ენით. ბალეტის პირველ ნახევარში წარსულის მძაფრ კოლიზიათა გადმომცემ დრამატულსა და ექსტრემულ სცენებთან ერთად მოცემულია მწვაურებისაგან „დამუნჯებულ“ ქალთა სკულპტურული ჯგუფი გუნდის გულში ჩაწვდომი ხმოვანების თანხლებით, ნათელის მეფეზე აგებული რევოლუციის ზეიმური მარშების რიტმებზე.

რევოლუციის გამარჯვების ეს ჰიმნი, სადაც ქალიშვილებისა და ჭაბუკების ხმა ერთიანი პლასტიკური სიმღერით „ჟღერს“, თითქმის ეხმინება ოცდაათი წლის წინათ ჭაბუკიანის მიერ დადგმულ გმირულ ბალეტ „ლაურენისას“, რომელშიც კლასიკური ბა-



ლტის მოძრაობებმა (უწინარეს ყოვლისა ნახტომმა და ტრიალმა) თავისუფლებისადმი სრულად გამოსახატავდნენ ახალი გიზრული ვერადობა შეიძინა. მაშ როგორც გმირული ბაობისთ უნდა შესთავაზებოდა იგივე მოძრაობანი „განთავისუფლება“ სადაც თავისუფლების დამამკვიდრებელი ბრძოლა და ამდინის სულის განთავისუფლება ასახული. ტრადიციით განახლების დიალექტიკური პრინციპი ჭაბუკაიანის თანამედროვე, ზოგად-ფილოსოფიურ სექტეკალს აკავშირებს არა მარტო საბჭოთა ბალეტის გუმინდელ ეტაპთან, არამედ მის ისტორიულ პირველწყაროსთან — XIX საუკუნის კლასიკური ქორეოგრაფიასთან.

ახალი ბალეტის პლასტიკური სისავსე გამოდინარების მისი სინოტიკური უზენაობიდან; სხვადასხვა ფორმით — რეალისტურით და სიმბოლურით, გროტესკითა და პლასტიკურით, მასობრივ, ჯგუფურ, დუეტურსა და სოლო კომპოზიციებში გახსნილი ყველა ცხოვრებისეული მოვლენა სექტეკალში მხრავდფორმდება წარმოსახული. „განთავისუფლება“ უხე პლასტიკურ საუბრებათა შორის ძირითად მანერ კლასიკური ცეკვა წარმოადგენს, რომელიც ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ სიმსუბუქესა და მკაფი ხასიათს, ისეთ სცენებშიც კი, სადაც წარმოსახული ხალხის ტანჯვა და მონერი შრომა. ვერ შეამჩნევთ ერთკრამის ნიშანწყალს ქუჩაში გარეული ქალღმერთებისა და მავალი საზოგადოების ფუჭავატი ახალგაზრდობის ურთიერთობის სცენებში.

გმირისა და ხალხის ურთიერთობა ჭაბუკაიანის ბალეტების ერთ-ერთი ძირითადი პრიციპია, დიდად ახალგაზრდაც მისი ბალეტების დრამატურული და სანქორლექსიკური წყობას. სწორედ ხალხისა და გმირის განუყოფელ ერთიანობაა და მათი აქტიური ურთიერთშეშემდგომი არის გახსნილი ხალხის წინამძღოლი გმირისა და ხალხის კონკრეტულ-ისტორიული სახე.

ზოგად-რეალისტური ხასიათის ბალეტში ეს ხალხი და გმირი ერთმანეთთან სხვაგვარი ესთეტიკური პრინციპებით არიან დაკავშირებული. ეს კავშირი მოცეკვლია სიმორთუბად განვითარებულ უწყვეტ მუსიკალურ პლასტიკურ მოქმედებაში, რომელშიც, როგორც სამართლიანად აღნიშნა კრიტიკოსმა გა მარგველაშვილმა, „სოლო პარტიების ფიორიანული დამოუკიდებლობა ცალკეულ გმირთა ბედი და აქცენტებზეა მხოლოდ ერთი წამით მაღლდება ნაკადის ყველაზე მშავერ ტალღასავე, რათა უშაღ შეერწყას სწორად და პოპოკარ მოგვას“. საერთოდ კი ახალი ბალეტის კომპონენტთა შერწყმა ნიშნავს გაყვლილი მეტს — სახელოდობ, ადგილისა და დროის რიტმით შერწყმას სექტეკალის ერთიან გამძლე რიტმში. და ერთ-ერთი ამ ელემენტის დარ-

ღვევაკ კი გავლენას ახდენს სექტეკალის მთლიანობაზე.

მატკარი ფარნაო ლაიაშვილი არ გამოკვდა კონსტრუქციების და პირობითად გადწყვეტილების მეტად ძუნეი ფორმები გამოხატა. სცენაზე ჩამოყალიბდა დეკორაციებით პირობითად მიანიშნა ჭარხანა, კატორდა და სხვ. ამრიგად არაერთი არ შეიზღუდა საცეკვაო არე და თანაც სცენური გაფორმება მშვენიერად შეესაბამა სექტეკალის რიტმულ-პლასტიკურ ვერადობას. ამ შირე განსაკუთრებით შთამბეჭდავია დედაქალაქის პირქუში სურათი, სადაც ძლიერძლიობით მშვეუტავ ფარანთა მწკრივი, თითქმის მუსიკის მისავსი რიტმით არის „განთავისუფლ“.

სინათლე ახალ ბალეტში მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, იგი გარდა თავისი პირდაპირი მოვალეობისა — გასაუბრის მოქმედება სცენაზე, მოქმედებულა შექმნას ფერია ვუტეტები და სიმბოლო. პირველ ნაწილში სტარობს ქუფრი ფერი, მეორე ნაწილში კი აღისფრად ბრწყინავს, „სუფლიადის მუფუფობა“ სცენა უმთავრესად ზედა რეგულატორებით არის გასაუბრული და ძირითადად დუეტურსა და სოლო კომპოზიციებში გამოყოფს. განათების უკმარობის გამო ნაწილობრივ ირრდებოდა ხალხთა მასების მისისხნებისა და პროტესტის გამოხატეული ზოგიერთი მასობრივი სცენა. აღნიშნავთა ერთი მომენტე: ფინალურ სცენის ხალხთა ზედი შერწყმული რეგულაციის დაფიონის რიტმიან. ამრიგად, მუსიკალურ-პლასტიკურისა და სინათლეთა ერთის ნაკადში იქმნება გამარჯვებული ხალხის შთაგინებელი სახე. მაგრამ რაღაც მომენტში ეს დაფიონი ქრება სცენიდან და საერთო ზეიმის ბრწყინვალე გრან-პა წითელი ქსილიონის ფონზე კონსერტის შთაბეჭდილებას ქმნის. სცენის ტექნიკურ აღჭურვილობასთან დაკავშირებული განათების ეს ნაკლოვანება უთუოდ დაძლეული იქნება სექტეკალზე შემდგომი შემოხებისა.

ახალგაზრდა მხატვარმა ვალენტინა პლიუნსინამ, რომლისთვისაც ეს ნაწარმოები დეიუტურ წარმოადგენს, გამოამკვლავა ბალეტის სტლის კარგი გრძობა და შექმნა მსუბუქი და მოხდნილი ტუნიკები ტალღისაგის, ნახევრად სპორტული ტანსაცმელი — ჭაბუკებისათვის. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ფინალის საზეიმო აღისფრე ტანსაცმელი, რომელიც ახალგაზრდის მის ცეკვაში ქმნის რეგულაციური მასის ზეიმის ნათლე, ერთ მთლიან სანახაობას. ვანრულ სცენათა კოსტუმებიც მკვეთრ მხატვრულ გამაშია გადაწყვეტილი.

„განთავისუფლება“ თავისი სტრუქტურული და პლასტიკური ფორმის სიახლით შემსრულებელთა წინაშე განსაკუთრებულ ამოცანას აყენებდა.

უნდა ვაღიაროთ, რომ სექტეკალის ახალგაზრდობა მუდამდენლობაში ღირსეულად გადარება მეტად რთული ამოცანა. ჩვენ კვლავ მოწმენი გავხდით ჩვენი საბალეტო სკოლისა და სემპლელების პრაქტიკის ერთიანობისა. სექტეკალის მისავარ რომლებში კვლავ გამოძვლავნდა ნიჭიერება ახალგაზრდა აქტიორებისა, რომელიც აქამდეც კვლავ არაბრუნულ გამოუცვლელითა თავიანთი ძალა საბალეტო რეპერტუარის სასახუსებელ მოტივ პარტიკებში. ესენი არიან: ლ. მითაიშვილი, ი. ჯანდიერი, ს. აბულაძე, ნ. ნახარეიშვილი, ს. სანაძე, ნ. მახათელი და გ. აბულაძე, რომელთაც ამ ბალეტში ნათელ სცენურ სახეთა მიელი გაღვრვა შეეძნეს. დიდი აღმავლობით ცეკვავებ. ზ. ამიანავილი, გ. აბაშიძე, რ. სვირიანა, ა. პოლოხოვი, ნ. არბიულიძე, ს. ტურმენიძე, გ. სიმონიანი, გ. მდგრძობიშვილი, ი. ერულიანი და სხვები.


სინოტიკური ბალეტის სასუბლეობა დაუფლებს განსაკუთრებით ძნელა მასტატურ, გმირული ხასიათის სექტეკალში, სადაც ძლიერი ემოციებით გაფლენილი გრიგალისებური მოძრაობანი აქცენტრებულა უცვარი პაუზებითა და ბოლოვებით. ეს შემსრულებელისაგან მოიხიფებს საბალეტო მოძრაობათა ვირტუოზულ დაუფლებას, უწინარეს ყოვლისა კი სხულის სიმტკიცეს, მოძრაობის მკვეთრ კორინდირებისა და ბოლომდე გააზრებულ დასრულებულ პოზიციებს.

ამიტომ ახალგაზრდა მოცეკვავეები არ უნდა დაკამოფილდნენ მიღწეულით და თავიანთი ოსტატების დასახვეწავ ცეკვაიც გააგებონ მუშაობაში.

ორგესტის აღმავლობითა და ტექნიკამენტით უღვევია ახალგაზრდა დირიგორი თ. ჯაფარიძე.

„განთავისუფლება“ თავისი ფილოსოფიურ მხატვრული გააზრებით უღაფოდ დაკავშირებულია „სინათლესთან“, „დემონთან“, „პოემა-ბალეტთან“ და საერთოდ ქართული ქორეოგრაფიის გმირულ რომანტიკასთან. მაგრამ მანერ მეტად მნიშვნელოვანსა და სასახუსებელად თემავს შექმნილი, სტრუქტურულად ახალი ფორმის ეს სექტეკალი ნიბოების საბალეტო დასის გაბეჭდილი მითითებისა.

„განთავისუფლება“ მარტო საბალეტო ხელოვნების ახალი ფორმების დაუფლების სკოლად კი არ გვევლინება, იგი ამავე დროის ამდღერებს ქართული საბჭოთა ბალეტის სარეპერტუარო ფონდს; სექტეკალის დამაგვირგინებელი საზეიმო სცენა — მომავლისადმი მიკუთარებული ექსპანსიით სახე მოცეკვავეთა სკულპტურული ჯგუფი, რეგულაციის აპოთეოზად და ამასთან მოწოდებად გვეხსნავს ახალი თამაში შემოქმედებითი ძიებისაკენ.



ქართული ბალეტის ისტორიის ერთი საკითხისათვის

ვლისაბედ ბალანჩივაძე



უსიკის ისტორიის სანტრერსო საკითხების რიგს მიეკუთვნება თანრების წარმოშობის საკითხი. მხოლოდ ცალკეული ელემენტის შემოქმედებითი კრისტალიზაციის პროცესის შედეგად იხადება მკაფიო ნიშანთვისებებით აღჭურვილი, ჩამოყალიბებული მხატვრული მოვლენა.

ფანრის პირველი ნიმუშები, როგორც წესი, განიხილებიან არა როგორც მხატვრულ-იმპულსური, არამედ როგორც ისტორიული ფაქტორი. და პირიქით — სრულიად სხვა თანრების წიაღის ახლების წარმოშობი, უშუალო წყაროები. ამ პროცესის განხილვა მხოლოდ დროის გარკვეულ დისტანციიდან ხდება. ჯერ „ახალი“ თანრი უნდა დამკვიდრდეს, განვლის განვითარების გარკვეული ეტაპი, მხოლოდ ამის შემდეგ წამოიჭრება სრულიად განსხვავებული თანრების შინაგანი ურთიერთდაპირისმართების საკითხი. ის, რაც ეტაპ შემოქმედებით იმპულსად ახალი თანრისათვის, ორგანული იყო წინამორბედი თანრისათვის. შემდეგ კი ახლის განვითარება წინამორბედიდან პარალელურად მიმდინარეობს.

შევეცდები ამ ზოგადი დებულების გავრცელებას კონკრეტულ მოვლენაზე — ქართული ბალეტის წარმოშობის საკითხზე. კარგა ხანია ქართულ მუსიკისმცოდნეო-

ბაში ეჭვითააღებულია მოსაზრება¹, რომ საქართველოში ეროვნული საბალეტო თანრის საწყისები ქართული საოპერო კლასიკის საბალეტო დიფერტისმენტებიდან და ქორეოგრაფიული სცენებიდან მომდინარეობს. ახალი თანრის დაბადებისათვის გაცილებული ნაკლები როლი ითამაშა საკუთრივ ბალეტის პირველმა ცდებმა². ინტერესს მოკლებული არ იქნება თვალყურის გადვენება იმაზე, თუ როგორ აღმოცენდა საოპერო კლასიკიდან ეროვნული ბალეტის დამოუკიდებელი თანრი. ეს კი შესაძლებელი გახდა ქართველი კომპოზიტორების საოპერო ნაწარმოების ყველა მნიშვნელოვანი საბალეტო ნიმუშების, დიფერტისმენტებისა და სცენების განხილვის შედეგად.

ქართულ ბალეტის შემოქმედებითი „ასაკი“ არც თუ ისე ხანგრძლივია. მისი წარმატებანი ქართული მუსიკის საბჭოთა პერიოდის მონაპოვარია, ვინაიდან კლასიკისტი (ანუ პირველი თაობის ქართველი კომპოზიტორები) — ზ. ფალიაშვილი, დ. არაკიშვილი, მ. ბალანჩივაძე, ვ. დილიძე — ძირითადად მუშაობდნენ საოპერო


თულ მუსიკას არ განაზრდებულნი იყვნენ. თუ მუსიკას არ განაზრდებულნი იყვნენ, თუმცა არსებობდა ფართო პოტენციური შესაძლებლობები გამოვლენილი ხასხურ ქორეოგრაფიაში. იმ პირველ ცდებს, რომელიც თ. ვახვაშვილის უწარმოებია, ქართული ბალეტის ფუძემდებლობის პრეტენზია არა აქვთ. (პანტიმიმა „მზეთამაზე“, „ორანული პანტიმიმა“ — 1924 წ., ბალეტ „ვახუშტის დღესასწაული“ — 1919 და „სიყვარულის წამალი“ — 1930).

პროფესიულ მუსიკაში ხალხური საცეკვაო მუსიკის ათვისებისადმი ინტერესი ძალზე დიდი და მნიშვნელოვანი იყო. პირველი თაობის ქართველი კომპოზიტორების თვითული ოპერა შეიცავს ცალკეულ საცეკვაო ნიმუშებს, ხატოვან დიფერტისმენტებს და პატარა ქორეოგრაფიულ სცენებსაც კი. სწორედ ისინი იქნენ ქართული ბალეტის პირველწყაროდ.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულში პეტერბურგში დაიდგა მ. ბალანჩივაძის ოპერის „თამარ ციხერის“ პირველი მოქმედება (შემდეგში ოთხმოქმედებანი ოპერა „დარჯან ციხერი“), რომელიც პატარა დიფერტისმენტით მთავრდებოდა. მას არ ენიჭებოდა მნიშვნელოვანი როლი ნაწარმოების დამატერგიაში, თუმცა გარკვეულად ხელს უწყობდა მთელი პირველი მოქმედების შეფარვა ქართული სცენების (მოქმედების დასაწყისში) ლეგენის სახაზო სცენა, ფინალში კი აღნიშნული დიფერტისმენტი). ოპერის საბოლოო რეაქციაში (1926) საბალეტო ნიმუშები სავარაუდოდ იქნა გაზრდილი.

დიფერტისმენტი შედგება ორი კონტრასტული ცვეკვისაგან — დავლური და ქართული. პირველი — დავლური და სადაა, მეორე — მუნებანა და ტემპერამენტული. კონტრასტის აძლიერების მათი უფარი დაპირისპირება. დავლური (წ/წ ზომით B-ძრ ტონალობაში) სწრაფად სცვლის ქართული (4 წილიდ ზომით F-ძრ ტონალობაში). დიფერტისმენტი ანტითარების იმ თემატურს, აღნიშნავს იმ განწყობილებას, რომელიც მანამდე იყო წამოჭრილი. მეფე-დედოფალთან გუნდის საზოგადოებრივი ურთიერთობის შემდეგ ელფს გიორგი მეფის რეჩიტატივი. იგი მიმართავს ხალხს. რეჩიტატივის თავშეკვეთად, ამავე მუსიკაში მოცემულია მეფის სახის ექსპონირება. მომდევნო საგუნდო ეპიზოდის შემდეგ მეფის რეჩიტატივი სრულად სხვა ხასიათს იღებს. მეფე მხიარულებისაკენ მოუწოდებს ხალხს. სწორედ ამ მომენტში, ვოკალურა და საორკესტრო პარტიტურა თანდათანობით მზადდება დავლურის თემა. ამრიგად, დიპლომატიკური და რიტმული გამთავივითი ტემპის რიტმული ნახაზი მეფის რეჩიტატივი-

¹ ი. კ. ჯ. დონაძის მონოგრაფია „ზაქარია ფალიაშვილის მუსიკა“, 1958, გვ. 75-80. ანტ. ვულფის „ტატარა კრებულში ქართული მუსიკალური ელტარა“, მოსკოვი, 1957, გვ. 223 და 323.
² ი. კ. ჯ. ზუბუას სტატია კრებულში „ქართული მუსიკალური ელტარა“, გვ. 207.



დას და ქალთა მინიატურული გუნდიდან იპაძება.

ამ გზით კომპოზიტორმა ოპერის მუსიკალურ ქსოვილში ორიგინალად ჩააქსოვა დიფერტისმენტო, რომელიც თავის მხრივ მკაფიოდ კონტრასტულია.

1919 წელს — ქართული საოპერო ხელოვნების ბედნიერი სათარიღა — დაიდგა სამი თვალსაჩინო საოპერო ნაწარმოები — და არაყიმილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (5 თებერვალი), ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერა“ (21 თებერვალი) და ვ. დილიძის „ეთერი და კოტე“ (11 დეკემბერი). თვითუნებურად ოპერაში მიცემულია ის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ნიშნები, რომლებმაც მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ერთგული ბალეტის დაფუძნებაში.

ვიჭირობ, ამ თვალსაჩინო ნაკლებად მნიშვნელოვანია ის ცვლები არაყიმილის ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“, რომლითაც მოაგრძელა ოპერის II მოქმედება — ზეიმი თამარ მეფის სასახლეში. ცვლებში უშუალოდ მოქვეყნებან სასუიშო გუნდს — „დიდებას“. აგებული არიან ფოლკლორულ ნიმუშებზე („დავარეზი“, „სათამაშო“ და „თუში ქაღების ცეკვა“). და არაყიმილი თავის შემოქმედებაში, ძირითადად, ქართულ ქალაქურ მუსიკალურ ფოლკლორის გერდნობდა, ოპერის მასობრივ იცევენში — გუნდებას და ცეკველებს კი გადმურ მუსიკას მიმართა. აღნიშნულ ცვლებში უთუოდ შეიქმნა მთვრ მოქმედებაში ფერადონება, სასუიშო განწყობა, მაგრამ ნაწარმოების დრამატურგიაში განსაკუთრებული როლი არ ეკისრებათ. ისინი ქორეოგრაფიულ სცენას არ უხალღებებან არც თემატური დაპირისპირებით, არც მხატვრული მთლიანობითა და დასრულებული ქორეოგრაფიული შინადაფიქრით. სრულიად სხვა ცვლებში ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ II მოქმედებიდან. სწორედ ისინი წარმოადგინენ საცეკვაო მუსიკის მაღალმხატვრულ ნიმუშებს ქართულ საოპერო კლასიკაში.

ამ დიფერტისმენტს — დასრულებულობით, ფორმის ლოგიკური მთლიანობით, შინაგანი განვითარებით საბალეტო სცენა შეიძლება დამუშაოდ. ცვლებში საწინააღმდეგო ფორმა განასახიანებელია ოპერის მთლიანი რიგი სცენებისათვის (მაგ. I აქტი — მონადრეთა გუნდი — ეთერის არია — მონადრეთა გუნდი). საწინააღმდეგობის ვედავთ

ოპერის მონუმენტურ ნაგებობებში, რომელშიც მრავალი შემსრულებელი იღებს მონაწილეობას (მესამე აქტის ტრაგიკული ფინალი — ოპერის ეპილოგია).

მგზნებარე ჭართულს, აღსავსეს ცეცხლითა და შინაგანი ტემპერამენტით, უპირისპირდება ლირიკული ქალთა ცეკვა აგებული ქალაქური ფოლკლორის ინტონაციებზე (გაიდებული სცენების სხლები, სინგონები *).

ვ. დილიძის კომიკური ოპერა „ეითი და კოტე“ გამჭვალულია ძველი თბილისის მუსიკალური ყოფის რიტმებით, ინტონაციებით. ბუნებრივია, რომ კომიკური ოპერის პარტიკულარში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საცეკვაო რიტმებს. ისინი ყოფითი პერსონაჟების — სიკოს, საქოსა და მატყუნელის დახასიათების ძირითადი საშუალებას წარმოადგენენ.

ოპერის სიუჟეტის შესაბამისად მოცემულია არა მარტო ქართული, არამედ ევროპული ცეკვები (მახურეა). ცალკეულ შემთხვევებში — კომიკურ ანსამბლებში, დიალოგებში გამოყენებულია „პოლკას“ რიტმი.

ქართული ბალეტის პრეისტორიაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ზ. ფალიაშვილის ოპერებს: „დაისის“ (1923), „ლატარას“ (1927). თუმცა ეს უკანასკნელი დრამატურგიული მთლიანობითა და მუსიკალური მასალის ხარისხით ჩამოუყარდება „აბესალომს“ და „დაისს“. მაგრამ ქართული ბალეტის ისტორიაში, მას პირველადი მნიშვნელობა ენიჭება.

სწორედ „დაისში“ ცეკვა გარდაქმნა დამთავრებულ სცენად, იგი მნიშვნელოვან

რება. თვით რინდის — პროფესიული ფორმის საწყისი ხალხური წრეული სიმღერებიდან მიმდინარეობს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში რფრენი განიცდის ინტენსიურსა და დამატულ განვითარებას, რაც მთელ ფორმას განსაკუთრებულ აქტიურობას ანიჭებს. კომპოზიტორმა შემოქმედებითა გამოიყენა ხალხური სასიმღერო-საცეკვაო კულტურის ეს სანტიტესო ნიმუში. წრის ცენტრში დგანან ახალგაზრდა გიორგი — მარო და მალხაზი. ისინი წრეში შეყვანა მაროს ერთგულმა მეგობარმა — ნანომ (წინამორბედი სცენა იყო ცანგალა და ტიტეს გაშორება), ცანგალას ვევი აქვს მაროსა და მალხაზის სიყვარული.

საზღვრული სცენა აგებულია საწინააღმდეგობის პრინციპზე, კიდრეა ცეკვები საუფრო თანხლები იმსრულებდა, ცეკვის შუა ნაწილის ფონზე კი იძლება ნანოსა და ცანგალას დიალოგი. ამრიგად, მოქმედება სამ პლანში ვითარდება: ცენტრში სდგანან მარო და მალხაზი, მათ გარშემო ფერხულება, ავანცენაზე კი ცანგალას და ნანოს ვედავთ. ეს სცენა დრამის კავანის შეკერის მომენტია. პირველად ქართული ოპერის ჟანრში კავანი იკვრება საცეკვაო ფორმის აქტიური მონაწილეობით.

ცეკვა „ქართული“ უშუალოდ მიდევს „ფერხულს“. ქართული საოპერო კლასიკის ქორეოგრაფიული ფურცლების გადახსნავა ცხადყოფს, რომ ცეკვა „ქართული“ — საბალეტო ქორეოგრაფიის ეს ამალღებულ ლირიკურ-რომანტიკული პოემა, ქართველი კომპოზიტორების განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. რიტმული მთავრობის შეუნეგებელი დინება მქნის კვდამოსილების შთაბეჭდილებას. ყოველი ოთხი ტაქტის მუღდიურ ნახაშში (დაკულია მკაფიო სტრუქტურული პერიოდულობა) არ არის არც ერთი პაუზა. ყოველი ტაქტის მთვრ ნახვების მეტრული გამახვილება (1 და 4 ტაქტებში), დლოს იმპულსური ინტენსიუი ფონი, პარტიკულარში შეყვანილი დიპლომატი და დარია, ტონალობის ნატივი კოლორირება (e-a-G-C) — ყოვე-



როლს ითამაშობს ოპერის დრამატურგების საკვანძო მომენტებში.


ყველა ეროვნების ხალხური ცეკვის პრაქტიკაში ფერხული რინდის პრინციპს ეყვარ

ლივე ეს ცეკვას მიზანწარფავს ანიჭებს. მთვრ მოქმედებაში მოცემულია ხვესურთა „ფარეიკობა“ და „მთუღლირეა“.

ხვესურთა ცეკვაში მიღწეულია განსაკუთრებული სახოგანება, თითქმის გიგანტებზე ხმობის ფარეწყლები, კოცინის აღებში, მღოცივლთა ანთებით ჩირადნები (იხ. სანოტო მაგალითი № 2).

სრულიად უბრალო საშუალებებით: ძი-

* პარტიკულარში პოპოს პარტიის დღმდებნა კეკელა იურ მანდოლისს, რაც კიდევ უფრო მკაფიოდ უკვას ხაზს ქალაქურ კოლორტს, მაგრამ ეს მხოლოდ პარტიკულარია აღნიშნული პრაქტიკულად იგი არ სრულდება.



რიოთად მასალის ერთი ტონით ამაღლებით აყვალსუ დაძაბულ მიმენტში და ფლიტა პიკეტის ტემპრით კომპოზიტორი აღწევს გასაოცარ ფრუქტს.

მიოლურის მგზნებარე წინსვლაფიეთობას აკავებს მავთუ კადანსირება, ბანში თემატური მარცვლის მიჩტიკით.

ნიმანობლივია, რომ იბერის ცალკეული საგუნდო და სოლო-ვოკალური ნიმრებიც გამჭვალულია ცვეკადობით — სახელდობრ — „ხვეწიული“ და „მოიღერო“ II მოქმედებიდან ქმნიან დიდი განხული სცენის ცენტრალურ ნაწილს, რომელიც იწყება ცანგალას კულპტებით, (მათ იუბირისტული პლანის მახვილ ცვეკადობა ახანაოთებ) და მთავრდება პოპულარული სახუშარო იუბირისტული სიმღერით „ცანგალა და გოგონა“.

ნანოს მუსიკალური დახასიათებაც შეიძლება საცვეკო რიტმებს, მაროსა და ნანოს პირველი დუეტის სოკავესტორ აკომპანემენტზე დასრულებულია „ქართულისაოთის“ დანახასიათებელ რიტმს, ამავე რიტმით ანას გამჭვალული ნანოს მთელი პარტია. იგი კონტრასტულია მაროს მუწუნარე-სევდიანი ინტონაციების მიმართ. ამრიგად, ვანრულობა და საცვეკო რიტმი გამოყენებულია ერთის მხრივ, როგორც გმირთა ექსპონირების საშუალება, ხოლო მეორეს მხრივ, როგორც კონტრასტული დაპირისპირების ხერხი.

ძალზე საინტერესოა ზ. ფადიაშვილის მესამე ოპერის „ლატავრას“ ცვეკები. ამ შემთხვევაში ცვეკები იქნენ ეროვნული დანახასიათებლის კონტრემუტუც ძალად. (გავიხსენით რუსული საოპერო კლასიკის ტრადიციები — „ივანე სუხანიანი“, „იორის გოდუნოვი“). ქორეოგრაფიული სცენის დინამიკით განსახიერებელია აღმოსავლეთის მერანამების — ენგინარის სულიერი განცდები.

დივერტისმენტის დადაწვივში ენგინარს ჯერ კიდევ აქვს ამაყი ტყვე ქალის ლატავრას მომიზიდვის იმედი, თუმცა უარყოფილია ენგინარის ყოველი ცდა. დივერტისმენტის დამთავრების შემდეგ ეს ენგინარის პირველივე რეპლიკა მრისხნებით არის აღსაქვს. იგი დასთით ემუქრება ლატავრას.

აღმოსავლური ცვეკების თანამიმდევრობა ასეთია: ტყვე ქალების მიზნდელ-ლირიკულ ცვეკებს სცვლის მამაკაცთა მრისხნე ცვეკა, რომელიც ასევე განსახიერებს ენგინარის სისატკეპს.

ქალთა პირველ ლირიკულ ცვეკას, აღსასუსტს აღმოსავლური მუსიკისათვის დამახასიათებელი გადიდებული სეკუნდებით, მოსდევს მეორე ლირიკული ცვეკა. იგი საგრანძობად განსხვავებულია პირველისაგან. მასში ხაზგასმულია სინატტივი და გრაციოზულობა. ცვეკის შუა ნაწილი აგებულია ენგინარის თემაზე, რომელიც უშუალოდ გადმოსცემს ენგინარის ენებას ლა-

ტავრასადმი. იგივე თემა ფართოდ არის გამოყენებული III მოქმედების პირველ სცენაში — ენგინარის რუჩიტატებსა და არიაში, რომელიც მის სასიყვარულო გრანძობებს განსახიერებს. ენგინარის სიყვარულის თემის გამოყენება ცვეკის მუსიკალურ მასალად ქმნის დრამატურგიულ მილინიონას. მანამდე ენგინარის განცდები გასწილი იყო ვოკალში, ახლა კი იხსნება საცვეკო მუსიკით. ამასთან ენგინარის ლიტიკომების დახმარებით კომპოზიტორი აღწევს მძლავრ კონტრასტს — ცვეკის კიდურ ნაწილების გრაციოზულობასა და სინატტივის უბირისპირდება მგზნებარე, ვანრუბი, იმპროვიზირებული ხასიათის ფრუქტებში. კომპოზიტორმა შეინარჩუნა ენგინარის პარტიისათვის დამახასიათებელი ტონალობა B-moll.

მესამე ცვეკა (მამაკაცთა) განსახიერებს აღმოსავლეთის ულმობელობასა და სისატკეპს. დაინტებული განმეორებები, საგანგებოდ გამართბებული უბისონური ფრანუზები, ტატკტის მთვე ნაწილის გამახვილება, ოსტინატური აკომპანემენტი, მზარდი დინამიკა, ყოველივე ეს ორგანულად გადა-

Allievo con trappo



იზრდება ლატავრას წამების სცენაში. აღსანიშნავია, რომ ქართულ საოპერო კლასიკაში ცვეკის მოთავსება კულმინაციის წინ — იშვიათი შემთხვევაა.

ამრიგად, ქართულ საოპერო კლასიკის — მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ ნიმუშთა ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ სწორედ აქ ნიშნავს ქართული საბალეტო მუსიკის პროფესიონალ სტილის კრისტიალიზაცია. კომპოზიტორმა — კლასიკოსებმა მოყვეს ხალხური ქორეოგრაფიის საინტერესო და მნიშვნელოვანი ელემენტების შემოქმედებითა და ათვისებით და გადარჩევს ნიმუში. ევემიუტანელია, რომ კლასიკოსთა მიდგომა ხალხური ქორეოგრაფიის მრავალფეროვანი სახასიათო ცვეკებისადმი სიმპლემტური აღმოჩნდა ქართული ბალეტისათვის. ბუნებრივია, რომ საბჭოთა კომპოზიტორებმა — ქართული ეროვნული ბალეტის ავტორებმა საგრანძობლად გააფართოვეს ხალხური ქორეოგრაფიისა და სასიმღერო შემოქმედებით ათვისებული მხატვრული სახეების წიფ. საკმარისია აღვნიშნო ხორუშის განსხვავებული შემოქმედებითი ინტერპრეტაციის მაგალითები თითქმის ყველა ქართულ ბალეტში, ანდა მარაკალმზიანი ხალხური სიმღერების ინტონაციებით თუ პოლიფონური კანონზომიერებების ორივე პიკურ გამოყენება გამაფრ თემატური მა-


სალად საბალეტო განრში. ასევე ძალზე თავისებურად იქნა გამოყენებული ხალხური ცვეკების რიტმული კანონზომიერებები, რომელთა საფუძველზე შექმნა სრულიად ახალი ფსიქოლოგიური სახეობანი (განსაკუთრებით ქორეოვლ კომპოზიტორთა უკანასკნელ ბალეტებში). ლირიკულ-რომანტიკული „ქართული“, „დავლური“, ნატვი „მირზაია“, ვაგეცური მითილური ცვეკები (პირველად გამოყენებული საოპერო კლასიკაში) კვლავაც განვითარდნენ ქართულ ბალეტში.

„ქართული“ მოცემულია ა. ბალანჩინაძის „მთების გულში“, გრ. კილასის „სინათლში“, ს. ცინცაძის „ცისფერი მთის საუნჯეში“, შესანიშნავად იხს გამოყენებული მითილური ცვეკები დ. თორაძის „გორდაში“, „მთების გულში“. „ახალგაზრდა ვითრის“ ქალთა ნატვი ცვეკებიდან „მირზაია“ (ქალაქური მუსიკის ნიმუში) ვითარდება ანალიზური პლანის პიეტური ქალთა ცვეკები — „სამაია“ — („მთების გული), „ალღლემე“ („გორდაში“), ქალთა ცვეკები („სინათლში“, „ცისფერი მთის საუნჯეში“), „შელის ცვეკა“ (შ. თაქაქი-

შელის „მალთაცვა“). „დაისის“ ფორულ-მაც კიბეა შემდგომი „გაგრძობა“ ქართულ ბალეტში „მთების გულში“, თავდაპირველად ეს უნდა ყოფილიყო ცვეკა გენდის თანხლებით, მაგრამ შემდეგ კომპოზიტორმა ორკესტრის დინამიკური ფაქტურის საშუალებით შექმნა ორი ერთნაირცვეკული გუნდის ილუზია. აღმოსავლური ცვეკებით (მიზნდელი ლირიკითა და ულმობელი სისატკეპით) გამოყენებულ იქნა ქართულ ბალეტებში („სინათლში“, „გორდაში“, „ცისფერი მთის საუნჯე“, ნაწილობრივ „ატლელი“ — ოტლიოს მიზნობრა სენატში, „დემინი“ — სინოდლის მკვლელობა), როგორც კონტრემუტაციის ძალა.

დივერტისმენტის ჩაქოვა მთელი ნაწარმის ორგანიზში, მისი თემატური ერთიანობა წინართრდება და მომდევნო მოქმედებასთან, ქორეოგრაფიული სცენების მნიშვნელობა დრამატურგიის საგვანძო მომენტებით (კვანძის შვრვა „დაისში“, კულმინაციის წინა მომენტი „ლატავრაში“) — ყოველივე ეს უღვრება გავალბის მივიჩნიოთ ქართული საოპერო კლასიკა ეროვნული ბალეტის მხატვრულ ლაბორატორიად.

ამრიგად, 30-იან წლებში საქართველოში ახსობრად საფუძველი საკუთრივ ეროვნული საბალეტო განრის შექმნისათვის.



პლაკატი
"ილუსტრაციული გვერდის"

ირაკლი თოიძის სახელოსნობი

მამია ჩხიკვიშვილი

კ

რცელ, ნათელ ოთახში, რომლის ფართო ფანჯრებში ორი მხრიდან შეუმჩნეველად იპარება მოსკოვის ქუჩების მჩქვარავ, სისხლსავსე ცხოვრება, შორეული მანძილებიდან მონაქროლი ყვავილთ სურნელი და ხეთა შრიალი, გან-

საკუთრებული სიმყუდროვეა. კედლებზე თავალ იტაცებს ნაირფეროვანი ნამუშევრები. აგიტაციური პლაკატების გვერდით სიუვეტური სურათების რივი კარგ მოთხრობასავეთ გამომიზენ საინტერესო ამბებს. საქართველოს მთავარიანი ბუნების მომზიბ-

ლავ სურათებს შორის ნაცნობთა კერძებზე ტიპი შეფიქვტრინან. მოაცილებ მთუ არა მათა თვალს, ავეფხისტკაოსნისა გმირები და საქართველოს პოეზიის შედეგურთა მოქმედი პირები გავესაუბრებინან...

ეს ვრცელი ოთახი — გალერეა ცნობილი მხატვრის ირაკლი მოსეს ძე თოიძის სამხატვრო ატელიეა.

აგრე უკვე ხუთ ათეულ წელზე მეტია, რაც მხატვარი თავისი შემოქმედებით გულწრფელად ემსახურება თავის სამშობლოს და ხალხს.

ირაკლი თოიძე დაიბადა 1902 წ. გამოჩენილი მხატვრის მოსე თოიძის ოჯახში, სადაც იგი იმთავითვე გაეცნო ქართული ხალხური ხელოვნებისა და რუსული რეალისტური ხელოვნების ნიმუშებს, დანტერესდა და შეიყვარა მხატვრობა. 10-12 წლის იყო ი. თოიძე, როდესაც ხელი მიჰყო ნატურიდან ეტიუდებისა და გლუხთა ტიპაჟების სატვას. ადგილობრივ პრესაში იბეჭდებოდა პატარა ირაკლის ნამუშევრები. მაგრამ მას უფრო დიდი ტილოების შექმნა აინტერესებდა და ამიტომ სიამოვნებით დასთანხმდა იმ დროს თბილისში მყოფ მოსკოვის სამხატვრო თეატრის მხატვარს ვ. ა. სიმოვს მასთან ერთად შესრულებია დეკორაციული სამუშაოები. ამ ერთობლივმა ნამუშევრებმა საერთო მოწონება დაიმსახურა, სიმოვთან მუშაობამ გარკვეული კვალი დააჩნია ი. თოიძის შემოქმედების ზრდა-განვითარებას.

როგორც ი. თოიძე ამბობს, მისი შემოქმედება დიდადა დავალებული დიდი რუსი მხატვრების — რეპინის, სეროვისა და ვრუბელისაგან. მათში ი. თოიძემ იგრძნო მხატვრული აზროვნების სიღრმე და ცხოველმყოფელობა, თბილი და პოეტური მიდგომა ნატურისადმი, ღრმად შთამბეჭდავი სახეების შექმნის ხერხები.

შემოქმედებითი გზის დასაწყისიდანვე ი. თოიძე სახეითი ხელოვნების მოვადასხვა სფეროში მუშაობდა. ცოტა მოგვიანებით იგი ძირითადად პლაკატზე და ილუსტრაციებზე მუშაობს, მაგრამ გრაფიკით არ შემოფარგლულა. მისი შემოქმედებითი დიპაზონი ფართოა. მხატვრულ ჩანაფიქრთა ხორცმასხმულად იგი ნაირ-ნაირ ტექნიკას არჩევს.

როგორც ქართული ლიტერატურის კარგი მცოდნე, ი. თოიძე 1930-იანი წლებიდან მუშაობს წიგნების გაფორმებაზე. მისი ილუსტრაციებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა „ვეფხისტკაოსნისა“ დასურათება და ილუსტრაციები „ქართული პოეზიის ანთოლოგიისათვის“. პირველი ნამუშევრისათვის ი. თოიძეს სახელმწიფო პრემია მიეკუთვნა 1941 წელს, ხოლო მეორისათვის — 1949 წ.

1931 წლიდან ი. თოიძე მოსკოვში მოღვაწეობს, ნაყოფიერად მუშაობს საკუთარულ-საგავითო გრაფიკაში და პლაკატზე.

ი. თოიძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს პლაკატს — ამ მეტად თავისებურ და რთულ ხელოვნებას. პლაკატი უნდა იყოს მაღალიდევური, პოლიტიკურად მკაფიო, ყველასათვის ადვილად გასაგები და აღსაქმელი. ეს კი მხატვრისაგან მოითხოვს დიდ ნიჭსა და ოსტატობას.

ი. თოიძის მიერ 1930-34 წლებში შესრულებული პლაკატები — „ინდოეთი“, „პირველი მისია“, „კაპიტალისტური სასამართლოს წინაშე“ და სხვები გამოირჩევიან ღრმა შინაარსით, სისადავითა და აზრის გადმოცემის სისხარტით.


განსაკუთრებით მაღალიდევური და მაღალმხატვრული პლაკატები შექმნა ი. თოიძემ სამამულო ომის პერიოდში: „დედასამშობლო მოგვიწოდებს“ (1941 წ.), „სამშობლოს სახელით წინ, დევგმირებო!“ (1942), „ყველა ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად!“ (1944), „ფიციკე, გავიმარჯვებთ მტერზე!“ (1943), რომელთაც უდიდესი სააგიტაციო მნიშვნელობა ჰქონდათ. უაღრესად დამაჯერებელი და შთამბეჭდავნი, ისინი ოპტიმისტურ ხასიათს ატარებდნენ.

პლაკატში „დედასამშობლო მოგვიწოდებს“ წინა პლანზე წარმოდგენილია თავშალმობხვეული ქალი, რომელსაც მარჯვენა ხელში უჭირავს გრავილი სამხედრო ფიცით, მარცხენა ხელი ზევით აწეული აქვს ქალის ფიგურის გარშემო ხიმუჩიანი შამხანების რიგია შემორკალული. მხატვარი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სახის გამომეტყველებას. ჩვენს წინა მტკიცე ნებისადამიანი, რომლის სახის მკაცრი, მაგრამ მშვიდი იერი სახეებით შეესატყვისება პლა-



ალექსანდრა თოიძის პორტრეტი

მოსე თოიძის პორტრეტი



კატის იდეურ შინაარსს. გამოსახვის ხერხები მკაცრი და ლაკონურია, კომპოზიცია დახვეწილი, სადა და მონუმენტური.

სამამულო ომის პერიოდში თოიძის მიერ დიდი ოსტატობით შესრულებული პლაკატები შთამაგონებელი იყო როგორც მებრძოლების, ისე ზურგში მყოფი ადამიანებისათვის და გამარჯვების რწმენას უნერგავ-

და მათ. ი. თოიძე სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო პლაკატისტად საბჭოთა კავშირში.

მისიხანე წლებში შექმნილი მისი ფერწერული ნამუშევრებიდან განსაკუთრებული ელვრადობა ჰქონდა დიდ ტილოს „სახალხო შურისმაძიებლები“. სურათი აღსავსეა პროტესტით და გამარჯვების მტკიცე რწმე-



ნით. თოვლიან მინდორში მოაბიჯებს, შურისძიების სურვილით შეპყრობილი მოხუცი ნაჯახით ხელში, მასზე მიხტებული პატარა ბიჭით, შორს გასცქერის და მის სახეზე აღმუთება იხატება. მხატვარი ახერხებს ერთი შეხედვით სადა და მარტივი კომპოზიციის საშუალებით ალწურის დილა და მნიშვნელოვანი ამბავი, ეს სურათი მცირე მოთხრობას მოგვგონებს და თვალწინ წარმოგვიდგენს ომის სურათებს მთელი თა-

ვისი სისასტიკით. ორივე ფიგურა შეხანიშნავი ოსტატობითაა დაწერილი. მხატვარი ყურადღებას ამახვილებს მათ სახეებზე, რითაც კარგად გადმოსცემს ადამიანთა შინაგან სამყაროს, გრძნობებს.

„სახალხო შურისმაძიებლები“ მხატვრის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს.

ი. თოიძე ნაყოფიერად მუშაობს პორტრეტებზეც, რომელსაც მნიშვნელოვანი ად-

გილი უჭირავს მხატვრის შემოქმედებაში. ი. თოიძის მიერ შესრულებული ქაღალდის პორტრეტები გამოირჩევიან დიდი სიბოთით და ინტიმურობით, ხშირად ვაზრული ეტიკეტის ხასიათს ატარებენ. ასეთია: „კამაშვი“, „გასყიერება“, „მოვიარინა ღამეში“ და სხვ.

„მსიბობ ალექსანდრა თოიძის პორტრეტში“ ნათლად იგრძნობა მხატვრის უნარი — ღრმად ჩასუწვდეს პორტრეტებულის შინაგან სამყაროს, მახვილად მივხვდეთ ხერხების საშუალებით გადმოსცეს ამ პორტრეტისათვის დამახასიათებელი თვისებები.

პორტრეტი საინტერესოა კომპოზიციური და ფერწერული გადაწყვეტის თვალსაზრისით. სადა რუხი კედლის ფონზე, რომელზეც ძველი თბილისის პეიზაჟს ვხედავთ, ზის შავი ხავერდის კაპაში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი. აქცენტს მხატვარი აკეთებს სახეზე, განსაკუთრებით კი მტკცველ თვალებზე. შესანიშნავად დაწერილ შავი კაპის ფონზე სასიამოვნო ფერწერულ კონტრასტს ქმნის ოსტატურად გამოძერწილი ხელები, მხრები და ვერცხლისფერი ქამარი.

1945 წელს ი. თოიძემ შეასრულა გამოჩენილი მხატვრის მოსე თოიძის პორტრეტი (მამის პორტრეტი). სურათში დიდ მხატვარს ვხედავთ თავის ატელიეში მუშაობის დროს. ი. თოიძეს კარგად აქვს დაჭრილი ის შინაგანი ხედა და განწყობა, რომელიც მხატვარს ახასიათებდა შემოქმედებით პროცესში.


თმებშვევრცხლილი ხანდაზმული ხელოვანი ჩაფიქრებული აკეთებს მონაშს. პორტრეტის უკან მარჯვენა მხარეს მოჩანს ყვავილებიანი ლარნაკი. სურათი შესრულებულია დიდი სიბოთით და სიყვარულით. ღრმა ინტერესი ნატურისადმი მუდამ ვლინდება თოიძის მიერ დაწერილ საუკეთესო სურათებში.

მხატვარს შესრულებული აქვს როგორც ქართველ მოღვაწეთა (გ. ტაბიძე, ნ. ვაჩნაძე, გ. კალაძე, მ. მრევლიშვილი, ვ. გომიანიშვილი და სხვები), ისე რუს გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტები. მათ შორის აღსანიშნავია ბაზენიკოვის პორტრეტი, მხატვარ ღობროვის, პროფესორ ბურმინის პორტრეტები და სხვ.


ი. თოიძე პედაგოგიურ ასპარეზზეც მოღვაწეობდა. 1922 წ. მისე თოიძის მიერ დაარსებულ სახალხო სამხატვრო სტუდიაში იგი ხელმძღვანელობდა ფიგურის კლასს და ლექციების კითხულობდა ხელოვნების ისტორიასა და ანატომიაში, ერთ პერიოდში თბილისის სამხატვრო აკადემიაშიც ასწავლიდა.

ახალგაზრდული ენერგიით სასვე მხატვარი თავის ნამუშევრებში უმეტრის მშობლიურ მიწა-წყალს და ქართველ ხალხს.

სახალხო შურისმაძიებლები



დაანკონილი პოლიბრაუნიტი



მ. შ. შახნაზროვი

საქართველოს პოლიგრაფისტების შორის არიან ადამიანები, რომლებიც აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ. ესენი არიან განუყოფელი ბოლქვაძე, სილიბისტრო თოდრაია, ივანე ნაცვლიშვილი, ნიკოლოზ გელოვანი და სხვები. მათ შორისაა ამოტ შახნაზროვიც — საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი.

იგი 12 წლის იყო, პირველად რომ შეალო სტამბის კარზე. რევოლუციამდე არც ისე ადვილი იყო მუშის შვილისათვის გზის გაკვება. სტამბის მესაკუთრები შევირდები უმეტეს შემთხვევაში საოჯახო საჭიროებისათვის, ხელზე მოსამსახურედ უფრო იყენებდნენ. არ ენაღვლებოდათ შევირდი რილის შვისწავლიდა პროფესიას. მიუხედავად დუხჭირი ცხოვრებისა ნიჭიერმა შევირდმა აითვისა ასოთმწეობის პროფესია. ამოტ შახნაზროვი ყარში ცხოვრობდა, აქვე მუშაობდა სტამბაში. 1918 წელს იგი თბილისში გადმოვიდა და მუშაობა დაიწყო კერძო სტამბაში. აქ დაუახლოვდა რევოლუციონერ მუშებს და უმაღლესი თანამშრომლობა და თანამოაზრე გახდა. 1920

წელს მემშვიდობის შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით ამოტ შახნაზროვი დააპატიმრეს და მოათავსეს ქუთაისის გუბერნიის ციხეში. მხოლოდ 1921 წელს სამართლებრივი საქმიანობის ხელისუფლების დასწარების შემდეგ იგი სხვა პოლიტიკურ პატიმრებთან ერთად გაათავისუფლეს.

ამოტ შახნაზროვი კვლავ სტამბაში იმუშავა მუშაობას და ამავე წელს შედის კომუნისტური პარტიის რიგებში. მოკლე თავისი ხანგრძლივი შრომის მანძილზე მას იცნობენ, როგორც პატიოსანსა და თავაზიან ადამიანს. მუდამ პატივისცემით სარგებლობდა შრომითა შორის, როგორც, თავმდაბალი, საქმის მყოფნი, საკეთესის სპეციალისტი.

„ზანაგრო ადამიანი და საუკეთესო ასოთმწეობი კარგი ორგანიზატორიც აღმოჩნდა. 1921 წელს მას აჯალბებენ პირველი საპარტიო სტამბის უმჯობესი თბილისში.

1923 წლიდან ამოტ შახნაზროვი განმარტებულია „ზარია ვოსტოკასა“ დირექტორად.

ტორია. იგი დიდი ენთუზიაზმით მუშაობს საწარმოს გაფართოებაზე, ზრუნავს მუშათა მოსამსახურეთა კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურებაზე, აქტიურად ემბება საზოგადოებრივ მუშაობაში, მისი ინიციატივით აქ ყალიბდება თვითმოქმედი დრამატული წრე „ლურჯი ხალთი“. რუსთაველის პროსპექტზე № 31 სახლში არსდება მემკვიდრე კლუბი, სადაც ფართოდ იმუშავა მუშათა თვითმოქმედება.

1929 წელს ის დაინიშნა პოლიგრაფტრესტის მმართველის მოადგილედ. ხოლო იური წლის შემდეგ პოლიგრაფტრესტის მმართველად.

ამოტ შახნაზროვის აღზრდილი ჰყავს მრავალი პოლიგრაფისტი. იგი ყოველთვის დაუზარებლად უზიარებს თავის მიღწერ გამოცდილებას ახალგაზრდობას.


ამოტ შახნაზროვი 1932 წელს გააკაზნის მოსკოვში მსუბუქი მიწვევების საკავშირო აკადემიაში სასწავლებლად. რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1937 წელს და ისევ თბილისში, სტამბაში განაგრძო მუშაობა.

1938-53 წლებში იგი მუშაობს ბეჭდვითი სიტყვის კომპიანტის დირექტორად. საქმის კარგად გადოლასთან ერთად აქ მისი დახმარებით ყალიბდება თვითმოქმედი წრეები: ქართული დრამატული, ცხეკვითა და სიმღერის, მეფანდურეთა და სხვებით არაერთხელ მიუღიათ მონაწილეობა ოლიმპიადებზე. მაკონდება მალაგა დადიანის სიტყვები: „ეს დრამატული წრე ოქტომბრის რაიონში ერთ-ერთი საცენებელი იქნება“.

დღეს ა. შახნაზროვი კვლავ ახალგაზრდული მწიგნობი მუშაობს პოლიგრაფიული მწეველობის სამმართველოში სამწეველო ტექნიკური განყოფილების გამავე.

1958 წელს ამოტ შახნაზროვი დაბალი დახილდება საპატიო ნიშნის ორდენით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრიზი-თიუმის საპატიო სიგელით და მიწიჭა საჩარათლოს სსრ დამსახურებული ინჟინრის წოდება.

სტაფანე ბაქათაშვილი



შოთა ხოლუაშვილი

რევოლუციის მხარეზე

აჭარის მხატვართა ნაწარმოებების გამოშენა

ნაზი ელიაშვილი

ლი

იდხანს და გულმოდგინედ ემზადებოდნენ აჭარის მხატვრები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის დღესეულად შესასვენებლად. შეიქმნა ახალი ტილოები, ქანდაკებები, კერამიკული და ჭედური ნელოვნების ნაწარმოებები. ბათუმის სურათების საგამოფენო დარბაზში მოეწყო ამ თარიღისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელზეც მონაწილეობდა ყველა თაობის წარმომადგენელი. გამოფენაზე ცხადაჰყო როგორც მადლდება ქართული სახვითი ხელოვნება, რომ ჩვენი მხატვრები კიდევ უფრო

დაუახლოვდნენ ხალხს, მის ფიქრებსა და გრძნობებს. ნაწარმოებთა უმრავლესობა მოწმობს შემოქმედთა მიერ ხელოვნების ამოცანების სწორ გაგებას.

უფროსი თაობის გამოცდილ ოსტატებთან ერთად გამოფენაში წარმატებით მონაწილეობს ახალგაზრდობაც. ესპაზიციზმი ერთმანეთს ენაცვლებოდა რევოლუციურ-რომანტიკული პათეტიკა და შრომითი პეროიკა. ფერწერულ ტილოთა შორის გამოირჩეოდა თემატური ნაწარმოებები, რომლებშიც ასახულია რევოლუციური ქართველი საქართველოში. შოთა ხოლუაშვი-

ლის სურათი „რევოლუციის მხარეზე“ მისივე მონუმენტური ფერტილოს „მამების“ ლოგიკური გაგრძელებაა. ავტორი წარმოგვისახავს რევოლუციისათვის თავდადებულ მებრძოლთა მხატვრულ სახეებს. სწორედ ასეთი ძლიერი ადამიანები იდგნენ ოქტომბრის რევოლუციის მხარეზე და ამიტომაც გაიმარჯვა რევოლუციამ — ამის თქმა სურს ავტორს. ეს სახეები დამაჯერებლად წარმოგვიდგენენ იმ ბოიკატ დღეთა გოლიათებს და ახალი საკმის თაოსნებს. თავისი ჩანაფიქრით საინტერესოა შ. ზამთარაძის „წითელი არმიის შესვლა აჭარაში“. ავტორი

ს. ართმელაძე

ჩემი სამშობლო



ცხოვრებისეული სიმართლით გვისატყვევებს აჭარის რევოლუციური ისტორიის ერთ-ერთ ეპიზოდს. ამ მრავალფეროვანი კომპოზიციის კოლორიტი მკაცრი და ზომიერია.

იგივე თემა სხვაგვარად აქვს გადაწყვეტილი ნ. იაკოვსკოს თავის ტილოში „რევოლუციის დღეებში“. მხატვარი ახერხებს საღებავების მუნწი გამოყენებით შექმნას დინამიკური და შთამბეჭდავი სურათი.

რევოლუციურ თემატიკას ეძღვნება მ. ბოლქვაძის ქანდაკებები „ლენინი“ და „მაიაკოვსკი“. ამ ნამუშევრებში თვალნათლივ გამოჩნდა მოჭანდაკის შემოქმედებითი სიმწიფე. ეს არის მიწოდებითი პორტრეტები, რომლებიც გვისატყვევს რევოლუციისათვის თავდადებულ ადამიანთა სისხლსავესე მხატვრულ სახეებს. ლენინის პორტრეტში ვიხილეთ შორსმჭვრეტელი და მაღალი ინტელექტის ძლიერი პიროვნება. ახანაკლემ სანტერესო იყო ბარდღევი, რომელიც შეტყვევდა გადმოგვცემდა რევოლუციის შთაგონებული პოეტის — მაიაკოვსკის სახეს. მ. ბოლქვაძეს გამოეწინააღმდეგა ლენინის მონუმენტის ესკიზიც. აქაც, როგორც მის სხვა ნაწარმოებებში, ამაყად მოჩანდა ავტორისეული შემოქმედებითი ინდივიდუალობა. „ჯარისკაცი“, რომელიც მისივე მონუმენტური ქანდაკების დეტალს წარმოადგენს, კონკრეტული და ამავე დროს განზოგადებული სახეა. მ. ბოლქვაძემ ოსტატურად დასძლია ამოცანა — შეექმნა



ლ. სედიმივილი

ურომა



შ. ბოლქვაძე

ჯარისკაცის პორტრეტი

ცემდა თ. ჯალაღანის მოზაიკის მუდამ იყოს მზე“. შესრულების წესნარი, მშვიდი მანერა ავტორის ჩანაფიქრის თანხმეობა.

პეიზაჟის ჟანრიდან მაღალი პროფესიონალიზმითა და კოლორიტულით ყურადღებას იქცევდა დ. იმნაიშვილის აქვარელი „აჭარის პეიზაჟი“. მხატვარმა მტკიცედ შეკრული კომპოზიციით ლირიკულ აქცენტში გადაწყვიტა სურათი. ნაწარმოები გზივით პოეტურებით და გარკვეულ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს.

დიდი ხანი არ არის, რაც ფერმწერმა ხასან იმნაიშვილმა თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა. იგი თავის შობილურ ქალაქს — ბათუმს დაუბრუნდა, ინტენსიურად ჩაება მხატვართა შემოქმედების საქმიანობაში. მის მიერ შესრულებულ პეიზაჟებში, ეტიუდებში, ნატურმორტებში, პორტრეტებში აშკარად იგრძნობა ახალგაზრდა ხელოვანის საკუთარი ხედვა, ხელწერა. იგი ბევრი ადგილობრივი თუ რესპუბლიკური გამოფენის მონაწილეა, ზოგიერთი მისი ნაწარმოები უცხოეთშიც იყო ექსპონირებული. ამჟერადაც აქ გამოფენილ ორ პეიზაჟში („ქალაქის ხედი“, „სოფლის პეიზაჟი“) ჩანდა მზარდი პროფესიონალიზმი. ახალგაზრდა მხატვრის პალიტრა თანდათან უფრო მრავალფეროვან და მრავალწანავოვან იერს იღებს.

ოღნა ცეც, მაგრამ ემოციურ კოლორიტში გადაუწყვეტა ა. გოგუაძის „პეიზაჟი“ და „ნატურმორტი“. ყურადღებას იქცევდა გ. მეგრელიძის „პლიაჟი“ და დგორატიული პლანში მოცემული „ახალი საბლი“, ა. აირაპეტისის „ბათუმის პიონერთა ზეი-

ომში დაღუპულ გმირთა სადიდებელი ნაწარმოები.

ლენინისა და რევოლუციის თემაზე საინტერესო ნაშუქებია აგრეთვე ტ. ჭანტურისა ქანდაკება „ლენინი ბავშვობაში“, რუდის გრაფიკული ნაწარმოები „ავტორა“, პ. სერენიანის „რევოლუციონერთა პორტრეტები“, გ. ხალათოვის „ულანოვი“.

საბჭოთა ადამიანების შრომით საქმიანობას გვიხატავს ს. ართმელაძის, ს. ბაქრაძის, ი. მარტინოვის, ლ. სეიდიშვილის, ვ. ჩიხმედაძანისა და სხვათა ნაწარმოებები. ს. ართმელაძის ტილოზე „ჩემი სამშობლო“ საგნებისა და ფიგურების დამუშავებაში იგრძნობა ერთგვარი პროფესიული უკმარისობა, მაგრამ ნაწარმოებში ისე უსჯადა ჩაქსოვილი ავტორისეული უშუალოდა და გულწრფელობა, რომ მთლიანობაში იგი მაყურებელზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს. ლ. სეიდიშვილის სურათში „შრომა“ აღბეჭდილია ადამიანები, რომლებიც პირველი მივიდნენ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობაზე. მხატვარი შეეცადა თავის ნაწარმოებში ფსიქოლოგიური სიღრმით გაეჩხნა ზოგადი ტიპური თვისებების ადამიანთა სახეები. ნაწარმოები საინტერესოა კოლორიტიკითა და კომპოზიციური ჩანაფიქრით, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ ერთგვარი ნაქტარეობის შესახებ, რამაც თავისი კვალი დააჩნია სურათს.

საიუბილეო ექსპოზიციამ იყო ერთ-ერთი მზარდი შემოქმედის — ს. ბაქრაძის მიერ შესრულებული „მეთევზე“. მოქანდაკემ მოგვცა უზრალო, მაგრამ მტკიცეული კომპოზიციისა. ლირიკულ განწყობილებას გადმოს-

ზ. იმნაიშვილი

სოფლის პეიზაჟი



მი“, ტ. მესხის „მომავალი კოსმონავტები“, ნ. ნიჭარაძის „დეკორატიული ნატურმორტი“, ი. ჩხაიძის „შემოდგომა“ და „პეიზაჟი“, კ. ტანუყვასის „ქალაქის ხედი“, მ. ხალვაშის „დეკორატიული მოტივი“. მართლაც, ტონალობაში განზოგადებული გ. ტულუშის „ზღვის შვილები“, მართალია, რამდენადმე მოკლებულია პროფესიულ დახვეწილობას, მაგრამ ნაწარმოები ძირითადად მხატვრული სიმაღლითაა აღბეჭდილი და მწახველთა სიმპათიას იმსახურებს.

გამოყენაზე რამდენიმე საინტერესო პორტრეტული ტილო ვიხილეთ. შ. ხოლუაშვილის „ფიროსმანის პორტრეტი“ პოეტური შთაბეჭდილებითა და შინაგანი სითბოთა ალსაყვს. საინტერესოა მისივე ლირიკული პორტრეტი „იდილია“. ენერგიულ შრომაში გატარებული ცხოვრების მეჭვდი აზის გ. სელუზნოვის პორტრეტს „პირველი პენსიონერი კოლმეურნი ქალი“. ახალგაზრდა მხატვრის ქ. ხოლუაშვილის „სტუდენტის პორტრეტი“ იგრძნობა ის აკადემიზმი, რომელიც კი არ მოჭვას და ანეწეს ხელოვანს, არამედ უფრო კონცენტრირებულს ხდის მის ნამუშევარს... მხატვრულ გემოვნებაზე, ფანტაზიასა და პროფესიულ ოსტატობაზე მივგანიშნებდა ი. სობოლევას „მეთევზე“, „ორნი“, „ბაზარი“ და სხვ.

თეატრალური მხატვრობა გამოიყენავე წარმოდგენილი იყო ა. ფილიპოვის ნამუშევრებით. ეს გახლდათ ესკიზები ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის დადგმებისათვის: „დედა“, „მეგლუდი“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „ძველი ქოლგა“. თეი-



ა. ფილიპოვი ესკიზი საპეტაკოსათვის „ძველი ქოლგა“

თეული წარმოდგენდა უბრალო, მაგრამ ძალზე გამომსახველ მხატვრულ გადაწყვეტას.

რამდენიმე წელია, რაც აჭარის მხატვართა შორის ჭედური ხელოვნების მიმდევარ-

ნიც გაჩნდნენ. ისინი მეტ-ნაკლები პროფესიულობით, ცდილობენ ხელოვნების ამ ეპოქის თქვან თავიანთი სიტყვა. საიუბილეო გამოყენების ექსპოზიციამ იყო ი. ჩხაიძის „რუსთაველი“ და მრავალფეროვანი კომპოზიცია „ინტერნაციონალი“, ჯ. ცინცაძის „განადგან“, ტ. მესხის „ყველა სახლი სიმაგრეა“.

კერამიკულ ნამუშევართან აღსანიშნავი იყო ნ. მეგუაშის, მ. ჯალაღანისა და თ. ჩაჩუას ნამუშევრები.

რომში, სადაც გუ ვერაფ არტიერის ძველ სასახლეში ვცხოვრობდი, ცხოვრობს ერთი მოხუცი. იმ საწყალს ცოტა დედა დარ-ჩენია. მეზობლებს სძულთ, არც მას უყვარს ისინი. მარტოობა და ცხოველები უყვარსო და ამიტომ გიყვად თვლიან. ერთ თახშში იგი „ზრდის“ ექვს ბრახიან და ფეიან აკატს. „უშვავის ნაშეივრები!“ — ამბობენ ამ კატეზე მეზობლები. მე მიყვარდა ის მოხუცი. მას ხომ ასე ცოტა დრო დარჩა აქ გასატარებელი.

ერთხელ გავიგე, მოხუცი რაღაც ინჟექ-ციური ავადმყოფობით გაძმადრიყო ავად, მივიღე, მოვიხასულე.

— გამიზინეთ, რატომ არ გინდით საა-ვადმყოფოში დაწვეთ? მოგივლიან, კატებს კი მე მიხვდავ.

— მომიხდით!.. არ მინდა საავად-მყოფო; აქ ყველა კრულვარ და თუ საავად-მყოფოში დაწვევი, ჩემს თიხს დაიკავებენ... მომიხდით...

მე სახლის პატრონს მოველაპარაკე და დავპირდი, თიხის ქირას ათი წლით წინ-

დაწინ გადავიხდი-მეთქი. ხელი მომიწერა ხელშეკრულებაზე და ფული გადაეხადა. — ახლა შეგიძლიათ დაწვეთ საავად-მყოფოში, აი საბუთები! ვერაფერ ვეღარ ახ-ლებს თქვენ თიხს ხელს. — ვუბრუნები მო-ხუცს.

იგი ყურს მივდედა და ცალთვალა ბე-ბერ კატას ვფერებოდა.

— ტოტონო, როგორ ვიქრობ, დაწვეე საავადმყოფოში თუ არა? შენ ხომ მარტო-დარჩები, ჩემო საწყალ ტოტონო?

— მე მოვუვლი.

— ტოტონო, შენ ვაბარებ შენს ძმებს, წესიერად მოიქეცი, მე ხალე დაებრუნ-ები.

იგი დაწვა საავადმყოფოში. ახლა დრო-ის დაკარგვა აღარ შეიძლება. მუშები მოვიყვანე: პარკეტი დაავეცე, კედლები შე-ღებეს, გათბობა გაიყვანეს. ლეიბი ვუყადე, პირსაბანი დავედგი, ექვსი თვის შემდეგ საავადმყოფოდან გამოვიყვანე. კიბეზე ურ-თად ამოვიდიოთ.

— როგორ იქცეოდა ტოტონო? ურემოდ არ მოიყვანა?

კარგი გავადე. გული წინდაწინ მივსეო-და სიხარულით, როცა ვფერებოდი, როგორ გაეხარდებოდა იქაურობის დანახვა.

— აბა, როგორ მოვწონი თქვენი თია-ხი? ხომ კარგია?

იგი ახალ საწოლზე ჩამოვდა.

— წინათ სჯობდა, ქალბატონო, მაშინ ჩემი თიხი იყო. რა საჭიროა ყოველი-ვე ეს?

აი, ხომ ხვადეთ, შეუძლებელია შეცვალო ელისზე ცხოვრება, შეუძლებელია დაეხმარო სხვას, რათა სხვანიარად იცხოვროს; ვერც შენ დაეცმარება ვინმე ცხოვრებაში. გაძ-ლებდა უნდა. გაძლება და არა მისწრაფება, რომ შეცვალო რამე... არ არის ეს საჭირო... მაგრამ რომ შემეძლოს, მინც რამდენ რამეს გავაგებებდი, შევცვლიდი ჩემი ფე-


ხები, ჩემი ცხოვრება... მაგრამ ვიცი: ვერც სხვა ვინმე მიშველის, ვერც თვითონ ვუშ-ველი ჩემ თავს. მჯეროდა რუსილების. მას-თან ვცხოვრობდი და ვფერებოდი: ცხოვ-რებაში ჯერ კიდევ შესაძლებელია ყველა-ფერი მოხდეს-მეთქი. არ არის მართალი! ლაპარაკობენ, რომ მე მიყვარდა რუსული-ნი — მაპატიეთ, მაგრამ ეს არ არის სწორი. რუსულინი იღებდა ფილმს „სტრომბოლი“. იმ დროს მე მიღებდნენ ფილმში „ვეზუვი“. ამასუ ვეამე წერტილს. მორჩა და გათავდა.

ჩემზე ათას ზღაპრებს ჰყვებიან. მე კი თვითონ ჩემს თავზე ლაპარაკი არასოდეს არ მინდოდა და თუკი ბოლოს და ბოლოს მინც გადავწყვიტე მეთქვა რამე. მხოლოდ იმდროს, რომ ტეშმარტება აღმეძვინა.

ცხოვრებაში მასა მამაკაცები შემხვედ-რიან, ეს მართალია, მაგრამ, მე სასხებით ათას სისულელეებს ჰყვები. მათ არაფერი არ მეთოტანიათ ჩემს ცხოვრებაში, გარდა იმისა, რომ კიდევ უფრო ამძაფრებდნენ მოწყენილობას. მხოლოდ ერთ მამაკაცს ჰქონდა ჩემთვის მიმწეებლობა და რის შესახებ მოვიყვებო კვილე. ძოდა, რა საჭი-როა ახალი სიტუაციების, ახალი უსამოვ-ნებების გამოყენება? პრესა ჩემს შესახებ ათას სისულელეებს ჰყვება. აი ასეთ რამეს კი მართლაც გამოყვარ მოთმინებდნენ სულელი ადამიანები მაიფიქრებენ: ამასთან ეს არარაბანი პატივმოყვარული რომ არიან! თუცა, რა იმითი ბრალია!

რა უხვლებით მჯავლობენ ჩემზე? მით თავისი საკუთარი არაფერი გააჩნიათ და არც არაფერი ექნებათ, გარდა თვითგამო-ღებისა. ვიცი, რომ მათზე გულისმოსვლა სისულელეა... მაგრამ ტიფილს რომ მაცე-ნებენ?.. ახლა მე მარტო ვარ, მაგრამ მთლად ეუბენ არა ვარ. მადლობა ღმერთს, ჩემთან არიან თიხის კედლები, მწვანე ხეები და მძღოლები, დაფარები ცა და დრულები.

თარგმანი ზურაბ ლუხაშვილისა



ქართული ნიშნის ბეჭდვის ისტორიიდან

ოთარ კასრაძე

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში ახალი, აღმავალი ხანა იწყება. წინდახედული და გონიერი მეფის ერეკლე II უშუალო თოსონობით, მიუღწეველ კულტურულ-საგანმანათლებლო წამოწყებებთან ერთად, მტკიცე საფუძველი უყრბა უცხოელ დამპყრობთა გამუდმებულ შემოსევების შუაგულად დავიწყების მიყვებულ, ვახტანგ VI-სული სტამბის აღდგენის საქმესაც.

სამწესხაროდ, 1795 წელს ალა-მამაღა-ხანის შემოიხევის შედეგად კრწანისის ველზე დატრიალებულმა ტრაგედიამ შეიწერა ერეკლე II სტამბა. «ალა-მამაღა-ხანმა აიკლო თბილისი: სასახლე მეფისა, თოფხანა, ხარაფხანა, სტამბა, აბანოები და ციციხლით გადაუგა ყველაფერი...» — ვადმოცემის მებატინე¹.

ამრიგად, ოცე წლის მანძილზე, 1795 წლიდან 1815 წლამდე, თბილისის სტამბაში წიგნები აღარ დაბეჭდილა. ამ სამწესხარო გარემოებას ხელი შეუწყო აგრეთვე ერეკლე II გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტის მოწურენ ბატონყმულებს შორის ჩამოვარდნილმა შინაურმა შფითმა და ახალმა პოლიტიკურმა ვითარებამ. მაგრამ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თბილისის სტამბის აობრების შედეგად წიგნების ბეჭდა საქართველოში ჩაყვდა და დავი-

ქუთაისში პირველი სტამბის დაარსებისა და წიგნების ბეჭდვის შემოიღების შესახებ ქართულ საისტორიო მწერლობაში ერთ ხანს აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. მაგალითად, ცნობილი მეკლეუარი ზ. ჭიჭინაძე ირწმუნებოდა, თითქოს მას ხელთ ჰქონოდა ქუთაისის სტამბაში დაბეჭდილი წიგნი შემდეგი მინაბეჭდვით: «დაიბეჭდა ესე დაუჯდომელი სამეფოსა ქალაქსა ქუთაისს, დროსა სოლომონ მეფისისა წელსა ჩლო»².

თუ ზ. ჭიჭინაძის ამ ცნობას სარწმუნოდ მივიჩნევთ, მაშინ უფლება გვეძლევა დავასკვნათ, რომ ჯერ კიდევ 1770 წელს ქუთაისში სტამბა უკვე არსებულა («ჩლო» აღნიშნულ თარიღს უდრის). მაგრამ, არა გვეონია, რომ ზ. ჭიჭინაძის ეს ცნობა რეალურ საფუძველზე იყოს დამყარებული. ამას ვაფიქრებინებს შემდეგი გარემოება: ზ. ჭიჭინაძის რომ ნამდვილად ჰქონოდა ასეთი წიგნი, უფროდ მოისინებდა როგორ მოხვდა იგი მის ხელში. ამის შესახებ კი ცნობაში არაფერია ნათქვამი. ვარდა ამისა, ისევე როგორც თბილისისა და თვით ქუთაისში დაბეჭდილ ძველ წიგნებს, მასაც ექნებოდა დათვით კონკრეტული მონაცემები მესტამბათა ვინაობის შესახებ და შეუძლებელია მათთვის მეკლეუარს ყურადღება არ მიექცია.

ქუთაისში პირველი სტამბის დაარსების შესახებ ცნობას ვაწყვედის პროფ. ალ. ხახანაშვილიც. იგი წერს:


«В конце XVIII в. в 1785 г. императорский царь Соломон II при содействии Романоза Зубашвили, изучавшего у Михаила, уроженца Валахии типографское дело, устроил в Кутаиси типографию для печатания церковно-богослужебных книг. В 1787 г. вышла кутаисской типографии первая печатная книга»³.

პროფ. ალ. ხახანაშვილის ცნობა სოლომონ II ინიციატივით რომანოზ ზუბაშვილის მიერ ქუთაისში 1785 წელს სტამბის მოწყობის შესახებ, ზ. ჭიჭინაძის ზემოაღნიშნული ვადმოცემის მსგავსად, გუგუბრობაზეა დამყარებული. როგორც ცნობილია, უცილობელ ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს, რომ 1784 წლიდან 1789 წლამდე მიერ საქართველოში მეფობდა არა სოლომონ II ანუ ერეკლე II შვილიშვილი დავით არჩილის ძე, როგორც ეს აღნიშნული აქვს პროფ. ალ. ხახანაშვილს, არამედ დავით გიორვის ძე, ამრიგად, რადგანაც ცნობა სოლომონ II 1785 წელს მეფობის შესახებ არ შეეფერება სინამდვილეს, ცხადია, ასევე უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს მოსაზრება სოლომონ II მიერ იმავე 1785 წელს სტამბის დაარსებაზე ვფიქრობთ. შემზომვევით არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ 1787 წელს ქუთაისში პირველი წიგნის დაბეჭდვის რწმუნების მიუხედავად, პროფ. ალ. ხახანაშვილი ამ წიგნის სახელწოდებას ვერ ასახელებს.

აღსანიშნავია, რომ პროფ. ალ. ხახანაშვილისა და ზ. ჭიჭინაძის მოსაზრებებს ქუთაისში პირველი სტამბის დაარსების შესახებ არც ისტორიკოსი და კარბაშვილი იზიარებდა. იგი წერდა: «უსაფუძვლოდ თქმა ზ. ჭიჭინაძისა და ალ. ხახანაშვილის ვითომ ქრისტეფორეს კვერპაშვილი და რომანოზ ზუბაშვილი მიხედვით უცხოეთისებლის ნაწიწყოფრი ნაყოფიყვენ. ისინი რომ მისი სამწესხარნი ყოფილიყვენ, ქრისტეფორე კვერპაშვილი 1794 წ. ივნისიდან 99—104 წლისა, ხოლო რომანოზ ზუბაშვილი, რომელიც, როგორც ქვევით დავინახავთ, 1811 წ. კიდევ მუშაობდა სტამბაზე სოფ. წესში, ამ წელს იქნებოდა 116—121 წლისა, რაიც შეუძლებელია, რადგან, მართალია, ადამიანს უფრო მეტს ხანაც შეუძლიან იცოცხლოს, მაგრამ სტამბის მუშაობა ამ შემთხვევაში 70 წელს გადაცილებულს»⁴. იმისათვის, რომ ზ. ჭიჭინაძისა და ალ. ხახანაშვილის

² ზ. ჭიჭინაძე, ქართული სტამბები, გვ. 102.
³ А. Хаканов, Очерки по истории грузинской словесности, III, გვ. 368.
⁴ დ. კარბაშვილი, ქართული წიგნების ბეჭდვის ისტორია, 1929 წ., გვ. 47.

¹ თ. კორღანი, ქრონიკები, წიგნი 111, 1967 წ., გვ. 431.



მოსაზრებათა უსაფუძვლობა კიდევ უფრო სარწმუნო ვახაღოს. დ. კარიჭავჭილი დასძინა: «1787 წ., რომანოზ ზუბაშვილი ტფილისში იყო და 1788 წელს კიდევ დაბეჭდა ვევიტაშვილი წიგნი»⁵. მართალია დ. კარიჭავჭილი არ ასახელებს იმ «ვევიტაშვილი წიგნს», რომელიც რ. ზუბაშვილი 1788 წელს თბილისში უნდა დაბეჭდეს, მაგრამ ქართული წიგნების ქრონოლოგიური კატალოგის მიხედვით თუ ვიშნაქლებით, იგი «ხატია» უნდა ყოფილიყო, რომლის ტექსტის ბოლოში შემდეგი მინაშეპლაა მოთავსებული: «დაიბეჭდა წმიდა ესე საეკლესიო წიგნი ზადიკო... ღრამატიკისა კანონისა ზედა და გალობისა კილისა ზედა განმარტოვად და პირბის მართათა უღრისის ზეცის ოსეს ძის ითანესათა. პლაჟის მგვარობით და დაჯვის-მმართველობით კარის საყდრის ზეცის დავით უღრისისათა. ზედა მდგომარეობათა და სტამბის საკმარათა ზედა გარჯიათა, ყოლანანს შულის დავით მუშრბიბისათა. სტამბის ამის ნაკლების შემამრთლებელი ზუბას-შვილი მესტამბე რომანოზ»⁶.

უფრო მეტიც, რ. ზუბაშვილი 1795 წლამდე თბილისში, ერეკლე II სტამბაში იმყოფება და მისი აქტიური მონაწილეობით იბეჭდებოდა: 1790 წელს — «დავითნი» და «დაუჯღომელი»⁷, 1791 წელს — «ქაბინა» და «სამოციქულო»⁸, 1793 წელს — «იკონადია», «მარხარია» და «მცირე ლოცვანი»⁹, ხოლო 1794—1795 წლებში — «კურთხევანი» და «დავითნი»¹⁰.

დ. კარიჭავჭილი უარყოფდა ზ. ჭიჭინაძისა და ალ. ხახანაშვილის დასახელებულ ცნობებს და ქუთაისში პირველ სტამბის დაარსების თაობაზე შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამდა: «ნამდვილად ქუთაისში სტამბა დაარსდა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, როდესაც სოლომონ მეფემ დაიბარა რუსეთთან აქ მოვიდა ტყედილი მესტამბე რომანოზ ზუბაშვილი ამ მესტამბეზე გამართა ქუთაისში სტამბა»¹¹. დ. კარიჭავჭილისავე განმარტებით რ. ზუბაშვილის მიერ გამართულ სტამბაში 1803 წელს პირველად დაბეჭდვად «სამღობრო» და სამღვდლო სახარება ნენების კვირიაკისა»¹². დ. კარიჭავჭილის ეს ცნობა XIX საუკუნის დამდეგ ქუთაისის სტამბის დაარსების შესახებ საინფორმაციო ახლოს დგას, თუმცა პირველი წიგნის სახელწოდებასა და გამოცემის წელს ზუსტად ვერც იგი განსაზღვრავს.

მეტიც მოსაზრებისა პროფ. ბ. გუგუშვილიც: იგი წერს: «ნამდვილად ქუთაისში სტამბა დაარსდა სოლომონ მეორემ, სადაც პირველად მხოლოდ 1803 წელს დაიბეჭდა წიგნი»¹³. პროფ. ბ. გუგუშვილი თავის მოსაზრებას აყენებს სოლომონ II მიერ სელმოციქურთ ერთ-ერთი საბუთადნი, რომელზეც ვითხულობთ: «ქ. მასოებელმან ყოლად წმინდისა სამებისაგან ყოფილს იმერეთისა მეფემან მეორემან სოლომონ ვიკოლისმოდანი მე დიდთა აულის მოდგინებთა რათამცა ქვეყანას ჩვენსა ყოფილიყო სტამბა, და შეწყვენითა ქრისტესითა ეძენ სტამბა ქუთაისს ყოფილთა სისრულითა უნაკლებოდ, სასიოვრად მეფობის ჩემის: და აწ დიდსა ერთგულსა და ერთ სულსა ჩემსა სახლთუხუცესსა წერეთელსა დიდსა თავისა წესს ზურბას ვანწმუნებ ზედა მდგომარეობისა ჩემის ამის სტამბისასა, ვითარცა უპირველესსა ნივსა პატივისათა. რომელიცა იყოს წესი და შესაბამისი მეფობის ჩემისა და საჭირო წმინდათა ეკლესიასათა მის იქმოდ; უსწავლელთა ცნობათა და წინააღმდეგობათა ნებითა და ძალთა განმართოდ, და ნაკლებევენებას ყოფილს აღსაყესებელ სეკურულსათვის ჩემისა, რამეთუ მიზეზი კეთილისა და არა კეთილისა და ყოფილსა წესიერებისა ქედსა ზედა შენსა და... ყოველი საქმე მისი და განწყობილი სტამბასა გიბოძებთ. ყოფილსა

შემღებულმან ღმერთმან წარგვიმართოს; წელთა ჩუქ... (1803) თბილისში (მ)»¹⁴.

აღნიშნული საბუთადნი გამომდინარე პროფ. ბ. გუგუშვილი ასკენს: «როგორც სჩანს, სოლომონ მეორეს... გამოუწერია რუსეთიდან, ერეკლე მეორის დროს ტფილისში ნაწყობი, — მესტამბე ზუბაშვილი და სისტამბო იარაღები, რომლითაც გაუკეთებია სტამბა სსენებელ რომანოზ ზუბაშვილს»¹⁵. ვევიტაშვილი, სოლომონ II ეს საბუთი ქუთაისში სტამბის დაარსების დამადაგნად არ გამოხატება. ამ დოკუმენტით, როგორც თვითონ პატივცემული პროფესორი შენიშნავს, სოლომონ II «მის მიერ ქუთაისში «ყოველთა სისრულითა» დაარსებული სტამბის ზედასახელებლობა ანდობს სახლთუხუცესს ზურბას წერეთელს»¹⁶, ხოლო ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ თუ როლის დაარსდა თვით სტამბა, საბუთში არაფერია ნათქვამი.

ამრიგად, როგორც დ. კარიჭავჭილი, ისე პროფ. ბ. გუგუშვილიც ვარკვეულ პერიოდში ქუთაისში სტამბის დაარსების თარიღად 1803 წელს მიიჩნევენ, სტამბის გამამრთველად რ. ზუბაშვილის თვითი-დენის, ხოლო მასსა დაბეჭდვად პირველ წიგნად «სახარება ნენების კვირიაკისა» დასახელებდნენ¹⁷.

დღეს, როდესაც უკვე მოგვემოუბა მეტ-ნაკლები სისრულით შედგენილი ქართული ნაბეჭდი წიგნების კატალოგი, ზემოაღნიშნული ცნობები სარწმუნო წყაროს აღარ წარმოადგენენ.

როლის დაარსდა პირველი სტამბა ქუთაისში

დ. კარიჭავჭილი «ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის» წინასიტყვაობაში წერს: «უზთაერისი და თითქმის ერთადერთი მასალა მეჩვენებდა — მეფთვამეტე საუკუნის ქართული წიგნების ბეჭდვის ისტორიისათვის თვით წიგნებია. ამ წიგნებს თავში და ბოლოში დაბოლოდ აქვს ისეთი ცნობები, რომლებზეც შეიძლება ისტორიის დაფუძნება»¹⁸.

მართლაც, ჩვენს ხელთ არის ქუთაისის სტამბაში გამოცემული წიგნი, რომლის თავთრველზე დაბეჭდილი ტექსტი საგულგნლსმო ცნობებს გვაწვდის ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ. მასში ვითხულობთ: «სადიდებლად წმიდისა, თანა-არისისა და განყოფილსა, ცხვილმსყუდილს სამებისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა. დროს ყოლად-ღურწყინულსისა, უკვილ-მსახურისისა და უმალესის სოლომონ მეორისა, მეფისა ყოფილსა საიმერეთოასასა და კეთილ-მორწმუნისა დეოფთალ დეფუფლისა მარამა დადინისა ასულისასა. კურთხევითა ყოლად-სამღვდლოთა მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთათა. აიბეჭდა დღითე სულითა წიგნი ესე დასმალთა მეფისა წინასწარმეტყველსა დაითისა საიმეფოსა ქაქაქსა ქუთაისისა, პაპელსა სამეფოსა. წელსა დასაბამითვან სოფლისა ქტქ, ქრისტესქ აქეთ ჩუ. თვესა ნოემბერსა, რიცხვისა ზა»¹⁹.

ეს დაინაწიერი ერთდროულად ორ კითხვან ვეამდებს პასულს: სტამბის დაარსებისა და მასში პირველი წიგნის დაბეჭდვის შესახებ. აქედან ვეგვიტობთ, რომ ქუთაისში სტამბა დაარსებულა არა 1803 წელს, არამედ უფრო ადრე, კერძოდ, 1800 წელს იგი უკვე ექსპლოატაციაშია. ამავე დროს, ამ სტამბაში დაბეჭდილი პირველი წიგნი ყოფილა არა «სამღობრო» და სამღვდლო სახარება ნენების კვირიაკისა», არამედ «დავითნი».

კიდევ უფრო საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ქუთაისის სტამბის ისტორიის შესასწავლად აღნიშნული წიგნის ბოლოსიტყვაობა. იგი შემდგენილია ითხებთ: «მერბანამ მათის უმდლესი-

⁵ იქვე, გვ. 100, 101.
⁶ ქართული წიგნი, გვ. 65, 66.
⁷ იქვე, გვ. 65, 66.
⁸ იქვე, გვ. 66, 67.
⁹ იქვე, გვ. 68, 69.
¹⁰ იქვე, გვ. 70, 71.
¹¹ დ. კარიჭავჭილი, ქართული წიგნების ბეჭდვის ისტორია, 1929 წ., 106.
¹² იქვე.
¹³ ბ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929 წ., გვ. 93.

¹⁴ ბ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929 წ., გვ. 94.
¹⁵ იქვე.
¹⁶ იქვე, გვ. 93, 94.
¹⁷ დ. კარიჭავჭილი, ქართული წიგნების ბეჭდვის ისტორია, 1929 წ., გვ. 106; ბ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929 წ., გვ. 94.
¹⁸ დ. კარიჭავჭილი, ქართული წიგნების ბეჭდვის ისტორია, 1929 წ., გვ. 3.
¹⁹ ქართული წიგნი, 1941 წ., გვ. 77.



ბის ქრისტეს-მოყვარის ჩვენის ვემწიფის მეორის მეფის არჩილის ბის სოლომონისაგან მე, მისი მონასა პაპავე გიორგი მესტამებს, გულსოდინენდ სურდელთ საღმრთო ნივთს ამისა უფასოას მარგალიტისა — სტამბის გამართვა და ვაჭეთება. და მე მორჩილ ვიქმენ, ვითა საღმრთოს კეთილ-სამიერებისა; და წარვეს რუსეთად მოსოეს, და რომელიც საკმარის სტამბას ესაჯირობება, ყოველივე სრულად უნაქლულოდ მოიგებენ, სასუსთა მისს უმალდობისათა; და ვაგვეთუ ქუთათისს, ვითა ჯერ იყო, რომელიც არაოდეს ყოფილიყო იმერეთში. და პირველად დაბეჭდულ სულთა განხანალებული წყენის ესე ფსალმუნე მეფისა დავითისა²⁰.

აღნიშნული ბოლისტიკეობადან ირვევა, რომ ქუთათისში პირველი სტამბა სოლომონ II დაფუძნეთ ვინმე გიორგი პაპაქმეს მოუწყვია და არა რ. ზუბაშვილს.

ზემოთყვანილი ციტირებული ადგილები, გ. პაპაქმის შესახებ შემონახული ცნობების გარდა, საშუალებას გვაძლევს, მიახლოებით მაინც, ვაჩვენოთ ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი — როდის უნდა დაარსებულიყო ქუთათისში პირველი სტამბა.

როგორც პირადად გ. პაპაქმე იუწყება, სტამბისათვის საჭირო მოწყობილობა მას რუსეთიდან, კერძოდ, მოსკოვიდან მიჰოტრანია. თუ შემდეგობაში მივიღეთ, რომ იმ დროს მოსკოვში წასულს, იქიდან სათანადო მოწყობილობის ჩამოტანას და შემდეგ თვით სტამბის გამართვას საკმაოდ ხანგრძლივად დრო დასჭირდებოდა, უფლება გვაძლავა დავასენათ, რომ შიდაღება სტამბის დასაარსებლად XVIII საუკუნის 95-იან წლებში უნდა შედგომოდეს. რაც შეეხება სტამბის ამუშავებას, ეს უფრო მოგვიანებით, დაახლოებით 1797—1799 წლებში უნდა მომხდარიყო, რადგანაც დღეს ჩვენს ხელთა ვაქვს ამ სტამბაში 1800 წელს გამოცემული პირველი წიგნი «დავითნი», რომლის დაბეჭდვასაც კადრების ნაკლებობის, სტამბის სრულად მოწყობილობისა და მკაცრი კლიმატური პირობების გამო კარგად დრო დასჭირდებოდა. აქედან გამომდინარეობს ჩვენი ვარაუდი სტამბის დაარსების თარიღის «დავითნის» დაბეჭდვამდე ერთი-ორი წლით მეტი ვადამდვის შესახებ.

ამრიგად, პირველი სტამბა ქუთათისში XVIII საუკუნის მიწურულს, სახელდობრ 1797—1799 წლებში დაარსებულა.

«დავითნი» დაბეჭდვის შემდეგ გ. პაპაქმე ქუთათისში დიდხანს აღარ დარჩენილა. რუსეთის სინოდის წევრს არქივისისკოპოს ვარლამ დავითის ძე ქსნის ერისთავს, მიტროპოლიტ იონა გველნის ძესა და იესე მეფის შვილის შვილს დიმიტრი გიორგის ძე პაგრატიონს გ. პაპაქმე მოსკოვში მოუყვებია, სადაც მას 1805 წელს დაუმუშავდა ანტონ კათალიკოსის მიერ შედგენილი «სადღესასწაულო». ამ წიგნს დართული აქვს გ. პაპაქმის შემდეგი წინასიტყვაობა: «მებრძანა უწინაშის სინოდის ჩლენის, ვარლამ არჩივისკოპოზისაგან, მე, პაპაქმე გიორგი მესტამებს, წიგნის ამის სადღესასწაულოს დაბეჭდვა, ვინაჟათან არა იყო ქართულს ენასა ზედა დაბეჭდულ მორჩილ-ვემწენ დრიადის გულის მოდგინებით. ითხსა წელსა არა დავსცებრ შრომითა და მღვდარბითა. თუთ ანანის მობრძითა, ვაწყობითა, ჩავთხებით, ჰლავის ჭრითა, და ყოველსევე სტამბისა ამის სახმარისა განმართვთა და სრულ-გმკაც მალთა ღვთისათა, და თუ რამე შეუდარევენება იხილოთ, ნუ მწყვეთ, არამედ ლოცუასა ყოველი ჩემ ცოდვისათსა»²¹.

აღნიშნული ამონაწერი საშუალებას გვაძლევს მიახლოებით მაინც ვაგაგრვიეთ გ. პაპაქმის ქუთათისიდან წასვლის თარიღი, ეს უნდა მომხდარიყო 1801 წელს. «სადღესასწაულოს» წინასიტყვაობაში იგი ამბობს: ამ წიგნის დაბეჭდვის გამო «ითხსა წელსა არა დავსცებრ შრომითა და მღვდარბითა». რადგანაც ვიცით, რომ ეს წიგნი 1805 წელს გამოვიდა, ხოლო მის ბეჭდვას კი ითხს წელს მოუხდენდნ, მაასადამე უნდა ვიგულოდნისმოთ, რომ გ. პაპაქმეს 1801 მიუტოლებია ქუთათისი.

გ. პაპაქმის მოსკოვში წასვლის შემდეგ ქუთათისის სტამბას

სათავეში უდგება რაზმავე რომანოვ ზუბაშვილი, რომლის ხელმძღვანელობდაც 1803 წლის ივნისში დაიბეჭდა მეორე წიგნი «სახარება ვნების კვირიადა». ეს ის წიგნია, რომელიც ისტორიკოსმა დ. კარიჭავჭილმა ქუთათისში დაბეჭდულ პირველ წიგნად მიიჩნია. როგორც ძველად აქვენიცემულ ყველა წიგნს, ისე «კვირიადას სახარებასაც» დათვლილი ვაქვს სხვადასხვა მონაცემები. სახარების ტექსტის ბოლოს მაგალითად მიბეჭდილი: «მრასანებათა მათის უმალდობისათა მოწოდებულ იქნა რუსეთით მრასანებურად და დაუბეჭდა სტამბა ესე კელითა მესტამემ რომანოვ ზუბაშვილისათა. დაჯვის მმართველობისა და სტამბისა ამის სახმარია ზედა ვარლამ პაპაქმისა ვიროსათა. სტამბისა ამის მუშავანი გვედრებულ ყოველთაგან შენდობასა»²².

ამ მინაბეჭდვს ერთგვარი არევი-დარევა შეატყნ ჩვენს მიერ ზემო-გამოთქმულ მოსახრებათა სიზუსტეში. აქედან ვგვებლობთ, რომ ქუთათისის სტამბა რომანოვ ზუბაშვილს დაურსებია და არა გიორგი პაპაქმეს. მასში პირდაპირა ნათქვამია: «გაუთქმა სტამბა ესე ხელთა მესტამემ ზუბაშვილისათა-ო. გარდა ამის იგივე საბუთი ვგამცემოს, რომ გ. პაპაქმეს ვარკვეული წველითა გაუღია «კვირიადას სახარებას ბეჭდვით. იქნება შთაბეჭდვება თითქმის ჩვენი ვარაუდი გ. პაპაქმის ქუთათისიდან 1801 წელს წასვლის შესახებ სიმარტლითან ახლოს არ უნდა იდგეს. ეს არც ვასაკვირია, რადგანაც «კვირიადას სახარება» 1803 წელს გამოცემა, ხოლო გ. პაპაქმეს მინაწერის მიხედვით, მის ბეჭდვას, როგორც «მზავის მმართველს», ვარკვეული მინაწილობა მიაუღია. უფრო მეტიც, ვცხვს იწყებს «სადღესასწაულოს» 1805 წელს მოსკოვში დაბეჭდვის საკითხი და თვით გ. პაპაქმის სიტყვები: «ითხსა წელსა არა დავსცებრ შრომითა და მღვდარბითა».


მართალია, ქუთათისში პირველი სტამბის დაარსებას გ. პაპაქმემ ჩაუყარა საფუძველი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მისი სრულად მოწყობა ანუ გამართვა მან ვეღარ მოსწირო. იგი წერს: «ვედრებრებით ყოველთა, მომხმტოთ ამის ნაკულევენება, და ლოცუა მჭოთ ღმრთსა შემდგომად სტამბისა ამის ნაკულევენებას აღსრულევენებას ღმრთს უფასლან, მალთია თქვენათა». — ი. ეს ნიშნავს: თუკი რამე ნაჯღს შენიშნავთ ვიხივთ შემიხედით. ილიცეთ, ღმრთმა მომიცეთ შეშებლად ან ნაკლევანებათა შესასებად, სტამბის სრულად ვასამართლო.

ჩვენ ვგვგონია, რომ თვადპირველად რ. ზუბაშვილი გ. პაპაქმის დასახმარებლად უნდა ყოფილიყო მოწყველი რუსეთიდან. როგორც ზეით აღნიშნეთ, გ. პაპაქმე ჩიოდა: «სტამბისა და ბეჭდვას ამის შინამრავლას ნაკულევენებას აღმოჩენს. მაგრამ მიზეზებდაც მქონდა: პირველი ესე რომ ზამთრია და ყინვალი იყო, რომ იმამად დაბეჭდვა და მუშაობა არ იქმნებოდა... მეორედ, ესე უმუშავნი მყვანდნენ, ყოველივე გამოკლებული იყუნენ, და ვსამევე, კენ, როგორც სხვას ქვეყნებში სხვადასხვა ოლატნი იმყოფებან, მე თანა-შემწენი არიენ მყვანდა, და ამ მიზეზისათვის, ვევედრებო ყოველთა, მომხმტოთ ამის ნაკულევენებას». — მართლაც, მართლაც, გ. პაპაქმისათვის ძნელი შეეძინებოდა გადღობოდა პირველად წამოწყებულად და დიდ საქმეს. ამიტომ, საფიქრებელია, რომ სოლომონ II ყურად იღო გ. პაპაქმის ჩივილი კადრების ნაკლებობის შესახებ და მის დასახმარებლად მოიწვია რუსეთიდან რ. ზუბაშვილი. ცხადია, პაპაქმის მოსკოვში წასვლის შემდეგ, რ. ზუბაშვილი თავისებურად მოწყობდა სტამბას და იმ «ნაკულევენებებსაც» გამოსწორებდა, რომელთა შესახებაც გ. პაპაქმე თვითონვე გულისცხვითელი აღნიშნავდა: «დავითნის» წინასიტყვაობაში. სწორედ ეს ვარაუდობა უნდა მქონოდა მხედველობაში «კვირიადას სახარების» ბოლოს მინაბეჭდვს ტექსტის ავტორს, როცა წერდა: «გაუთქმა სტამბა ესე ხელთა მესტამემ რომანოვ ზუბაშვილისათა»²³.

ამის შემდეგ გასარკვევი ვერჩება — მართლა მიიღო თუ არა მონაწილობა «კვირიადას სახარების» გამოცემაში გ. პაპაქმეს? რა თქმა უნდა, იმის უარყოფა, რომ მას ამ მხრე ვარკვეული წველითა აქვს ვალდებული, შეუძლებელია. მაგრამ, იმის თქმაც, რომ იგი

²⁰ იქვე.
²¹ ქართული წიგნი, 1941, გვ. 84, 85.

²² ქართული წიგნი, 1941 წ., გვ. 83.



ბოლომდე მონაწილეობდა «სასარგების» გამოცემაში, უმართებულად იქნება ჩვენს ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს შედეგი საჯარო-სახო გამოცემაზე.

როგორც ვიცი, «კვირიაკის სასარგების» ბოლოსიტყვაობაში ნათქვამია: «არმანბნითა მათის უმადლობისათა მიწოდებულ იქმნა რუსეთით მოსამსახურად და გაკეთდა სტამბა ესე ხელთა მესტრამე რამანოზ ზუბაშვილისათა. დაზგის მმართველობითა და სტამბისა ამის სახმარათა ზედ გარჯითა პაპიანისა გიორგისათა». არსებობს ამ ბოლოსიტყვაობის მეორე ვარიანტიც, რომელშიც სიტყვები: «დაზგის მმართველობითა და სტამბისა ამის სახმარათა ზედ გარჯითა პაპიანისა გიორგისათა», მთლიანად ამოღებულია. შეიძლება ამ ფაქტისათვის ყურადღება არ მივუქცევოდ, მაგრამ საქმე ის არის, რომ იქვე «დაზგის მმართველად» გ. პაპიანის ნაცუ-ლად ვინმე არქიმანდრიტი ზაქარია მოხსენებული. «მდაბალი არხიმანდრიტი ზაქარია ლოცვის გვედრებში ყოფილთა მიერ, რომელმან ვიფიქროსოდაც მუშაკობად ამისსა და განხმარაჲ განიონთა ზედა წმიდა ესე სასარგება ყოვლითა სიძკაითა და დაზგის მმართველობითა». — ვითვლივთ ბოლოსიტყვაობის მეორე ვარიანტში²³.

ამ ამონაწერში არქიმანდრიტი ზაქარია ერთდროულად ორი — სტამბისა და საგამომცემლო დარგის მუშაკად მოხანს. იგი «ჯანთა სხუდა წმიდა ესე სასარგების» გამმართველი, ანუ ტექსტის დამდგენიცა და «დაზგის მმართველიცა» ყოფიდა. ამრიგად, 1803 წლისათვის მას ქილოფთართუხუცისის რისტომ ნიჭიარბისა და გ. პაპიანის თანამდებობები ჰქონია შეთავსებული.

ამის შემდეგ იმაღება კითხვა: თუ რაიმე კავშირი არ ჰქონდა გ. პაპიანს კვირიაკის სასარგების დაბეჭდვასთან, რატომ მოიხსენიეს იგი ბოლოსიტყვაობის პირველ ვარიანტში და თუ მისი წყვეტილება ერთი ამ საპატიო საქმეში, რატომღა ამოიღეს მისი სახელი ბოლოსიტყვაობის მეორე ვარიანტშიდან? არღვანაც გერჯიუ-რობით რაიმე კონკრეტული საბაჲთი არ მოგვეპოვება, აღნიშნული საკითხის ირგვლივ შეიძლება მხოლოდ ორი სხვადასხვა სავარაუ-დოდ მოსაზრება გამოითქვას:

1. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გ. პაპიანსა და რ. ზუბაშვილს შორის თავიდანვე მწვევე უთანხმოება ჩამოვარდა პირველკაცობის თაობაზე. ამრიგად, ამ შემთხვევაშიც თავი იჩინა ფეოდალური ეპოქისათვის დამახასიათებელმა განვითარებამ. ერთმანეთს დაუპირისპირდა ერთი და იგივე საქმის ორი დიდი მოღვაწე, მთელი თავინათი პირადი ინტერესებით. ამ ბრძოლაში გ. პაპიანემ მარცხი განიცადა, რის გამოც იძულებული გახდა «კვირიაკის სასარგების» ბეჭდვისათვის თავი მიეტებებინა და მოსკოვის წასულიყო. გამორიცხული არ არის, რომ ამის შემდეგ შექმნილი ვითარება რ. ზუბაშვილმა პირადი საინტერესოების მიზნით გამოიყენა. გ. პაპიანის სახელი ბოლოსიტყვაობის მეორე ვარიანტიდან მთლიანად ამოიღო იმისათვის, რომ ისტორიაში თავისი პირველკაცობა დაეკრძაღებინა. ამ განხრავების შესრულება რ. ზუბაშვილმა ნაწილობრივ მაინც შეძლო. კარგა ხანს, სანამ «დაეთინა» ნაპოვინი ნიჭიანად, ისტორიკოსი და კარბეშვილი და სხვა მკვლევარები ქუთაისის სტამბის დამარსებებად მას თვლიდნენ.

2. დასაშვებად ვთვლით, რომ რ. ზუბაშვილსა და გ. პაპიანს შორის არავითარ უთანხმოებას არ ჰქონია ადგილი და ის უკანასკნელი ანატიონი, პირადი მოსაზრების გამო წვიდა მოსკოვის გერჯი კიდევ მანამ, სანამ «კვირიაკის სასარგების» ბეჭდვის შეუდგებოდნენ. როგორც, რადგანაც გ. პაპიანე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც პირველი სტამბის დამარსებელი ქუთაისში, ამიტომ პატივცემის ნიშნად მისი სახელიც შეიტანეს ბოლოსიტყვაობის პირველ ვარიანტში. შესაძლებელია, რომელიც, ეს ნაიჯიკე უხერხულად მიიჩნეს და მისი სახელი ბოლოსიტყვაობის მეორე ვარიანტიდან ამოიღეს.

ჩვენ პირველ მოსაზრებას ეუფეროდ მხარს და ადვილად შესაძ-

ლებელია სიტყვები: «გაკეთდა სტამბა ესე ხელთა მესტრამე რამანოზ ზუბაშვილისათა» მართლად იმის კიდ ამ გაუმხილებელად სინანდელიწოდ რ. ზუბაშვილმა მოიმუშავე ქუთაისის სტამბის სასარგებლოდ, არამედ პირიქით, პირველი კაცობის მიკეთუნების ცდას წარმოადგინა.

გასარკვევად ქილოფთართუხუცისის როსტომ ნიჭიარბის საკითხი. შესაძლებელია ისიც გ. პაპიანსა და რ. ზუბაშვილს შორის ჩამოყარნილი უთანხმოების შედეგად წავიდა სტამბიდან. სხვა რაიმე თქმა ამის შესახებ, სანამ მიკვლეული არ იქნება სარწმუნო საბუთები, არ შეგვიძლია.

ყველა მკვლევარი, ვინც კი ქუთაისში სტამბის დარსების საკითხს შეხებია, ერთხმად აღიარებს, რომ რ. ზუბაშვილი იმერეთის მეფეს სოლომონ II მიუწვევია რუსეთიდან, მაგრამ სახელგობრომელი ქილოფიდან — ამის შესახებ არაფერს ამბობენ. ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ მათ იმ დროის ხელთ არ ჰქონდათ საჭირო საბუთები. დღეისათვის უკვე მოგვეპოვება უტყუარო წყარო, რომლის მიხედვითაც ირველი, რომ ქუთაისში ჩამოსახლებულ რ. ზუბაშვილი მოხვდებოდა ყოფიდა²⁴.

ვინ არის რ. ზუბაშვილი, რა ეროვნების, რატომ მოხვდა ქუთაისში? ეს და სხვა მთელი რიგი საკითხები გარკვევას საჭიროებენ.

პირველ ყოვლისა გავარკვევთ რ. ზუბაშვილის ეროვნებას. ამ საკითხის ირველი, სანამ ახალი მასალები იქნებოდა მიკვლეული, ირგვარი მოსაზრება არსებობდა: ერთნი მას რუსად სთვლიდნენ, ხოლო მეორენი — ქართველად. პირველ მოსაზრებას საფუძვლად დიდი ზეგავლენა შეამომავალთა უკანასკნელ სამეცნიერო სოფელ წესში ამ გვიარის შესახებ გარკვევებული გამოცემა, რომლის თაობაზეუც პრეფ. პ. გუგუშვილი წერს: «აღსანიშნავია, რომ მესტრამე რამანოზ ზუბაშვილის შთამომავლობა ამქამდალ ცნობილობის სოფ. წესში, რაჭაში, ზუბაშვილის თავის თვის რუსთა ცნობილად სოფლიან, მეზობლებიც მათ ასე იხსენიებენ... სხმარად უკანასკნელნი მათ მესტრამბისმივლიბსაც უკახიანა»²⁵.

და კარბეშვილიც არ იზარებს პრეფ. პ. გუგუშვილის მიერ აღწერილ სოფ. წესში გავრცელებულ გამოცემას და მას «ლეგენდა» უწოდებს. იგი განმარტავს: «ეს «ლეგენდა» დამყარებულია იმაზე, რომ რამანოზ ზუბაშვილი სოლომონ მეორემ გამოიწვია რუსეთად, სადაც ის ცხოვრობდა ქართლიდან 1795 წლის შემდეგ წასული. რუსეთში ყოფნისას რომანოზი და მისი ოჯახის წევრები რუსულს სწავლადნენ, ზოგ რუსულს ჩვეულებასაც შეიფიქსირებდა და გვარსაც რუსულად დააბოლოებს (ზუბოვი) მიხედვინენ, როგორც ეს მანამ შემდეგირივად ხდებოდა. ყველაფერი ეს მათს მეზობლებზე სხეთ შთაბეჭდილებას მოახდენდა, ითაქოს ისინი რუსები ყოფილიყვნენ»²⁶.

პრეფ. პ. გუგუშვილი და კარბეშვილის ამგვარ მოსაზრებას ერთგვარი გვიტი უყურებს და პირველ სავარაუდოდ შესაძლებლობას ანიჭიარებს. იგი წერს: «...უნდა შევინიშნოთ, რომ ერეკლე მეფის დროიდანვე საქართველოში აყენენ რუსეთის მოხელეები, ზოგივენი ვერბით, რომლებსაც ადგილად შევლით გაქართველებიყენებდა და ერეკლეს მიერ განახლებულ სტამბაში (1782 წელს) ემუშავებენ. ამრიგად შესაძლებელია, რომ ზუბაშვილი ერეკლეს დროის გაქართველებული რუსი ყოფილიყო; ამ მხრივ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს ზუბაშვილიც მეორე ქართული გვარს ატარებდა: «მესტრამე რამანოზ რომანოზ ზუბაშვილი»²⁷.

რ. ზუბაშვილის ეროვნების შესახებ და კარბეშვილი მართალი უნდა იყოს ისტორიული წყაროების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ იგი ნამდვილად ქართველია. თავდაპირველად მას ერეკლე II მიერ 1749 წელს აღდგენილ განხტანესული სტამბაში შეუსწავლია ხელგობა და 1795 წლიდან იქვე უმუშავებია წიგნების გამოცემაზე.

²³ ქართული წიგნი, 1941 წ., გვ. 71, 72, 73.
²⁴ პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929 წ., გვ. 95, 96.
²⁵ და კარბეშვილი, ქართული სტამბის ისტორია, 1929 წ., გვ. 112, 113.
²⁶ პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929 წ., გვ. 96.



1795 წლიდან რ. ზუბაშვილი თბილისში უკვე აღარა ჩანს. აღამაჰმად-ხანის შემოსევის გამო მას, როგორც ქრისტიანულ-მართლმადიდებელი წიგნების მთავარი მეთვალყურეობა თბილისი და სამშობლოდან ღტოლილად ასეა შეუფარებია მოხლოებში ცნობილ ქართველ მოღვაწე გაიხვ რექტორთან. მართალია, და კარგაშვილი არ იმორჩებოდა წყაროს, როდესაც რ. ზუბაშვილის თბილისიდან გაქცევის მოსაზრებას გამოთქამს და არც იმ ქალაქის სახელებს, სადაც თავმჯდომარე მხოლოდ, მაგრამ ჩვენი ხელთა გვაქვს რ. ზუბაშვილის წინა გაიხვ რექტორის ჩემი დავადილი, 1796 წელს მოხლოებში შედგენილ-დასტავებული წერილი, რომელიც ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად ნათლად ჰქვინ მის ერთგულ ვინაობასაც. წერილში ვითხოვლობა: „... ყოველად უსამღებლოდესი გაიხვ, მწყემსო კეთილი და უფალი მწყემსოაო!.. მადლი თქვენი უხმარა გონებასა და სიტყვასა ჩემსა.

მცველი კეთილი, წარწყმედილია ცხოვრობა! აჰა, მეგლთავან შეტოვლილი უხმარა მონა რომელი გახდენ მათის უნადღობის საქართველოს მეფის ირაკლის ერთი უნაქანელი... უნარჩევის მისამსახურე. მუხთალმან სთვლელა და უპირობად გაირდომავდო... ვითარცა ცხვარი და განმსწორა მწყალობელს ბატონსა, მეგობარა და თვისთა გამომტყორცა, ვითა მწუდელმან ისარი, მსწარად, დაუყოვნებლად და უცხოობასა შინა განმავდო, ყოვლის ნივთისა და საზოგადოვანც ცარიელ ქმნილი. მოწყალემან ღმერთმან მიზნითა მიზგუზმან იესომ სახებრმან და დღამან მისმან მარამან, მშობრთა ვამაჰმადელი, შიშველთა სამოსელმან, ჩემთვის ნუგვედ და ამოგანათა და მიტვირთეთა შეტოვლილი ცხოვარი. წარვეში მეცით და მრქე მე; აჰა მენებას უქმყოფნა შვითი. ნუგვედ და იქმოდე სტამბასა ჩემსა და რომელიცა სამართალი იყოს მიგეც შენ. დღევანდელი ბრძანებასა თქვენსა და ვიწყე მუშაობა და აღავსარულე ბრძანება თქვენ... მარტომან ვიმუშავე და განმართე სახედღვი ესე და არცა გონება ჩემი ჩემთან არ იყო შემოკრებული, დიდის მწყალობისაგან, ვითარცა მმართველს: სამკვიდროს მოეშორდი და ამა სიღარიბესა და უცხოობასა შინა ვიმყოფებოდი. განსაჯეთ თუ ვითარი გონება დაუწყნარებელი ცხოვრება მექნებოდა...“²⁸.

ეს წერილი ვითარღმგზობრივ საინტერესო ცნობებს შეიცავს. კერძოდ ექვს აღარ იწყებს, რომ რ. ზუბაშვილი ერთგვითი ნამდვილად ქართველია. ასე, რომ არ ყოფილიყო, იგი არ იტყვოდა: «მუხთალმან სთვლელა და უპირობად გადმომავდო... ვითარცა ცხვარი და განმსწორა მწყალობელს ბატონსა, მეგობარათა და თვისთა გამომტყორცა, ვითა მწუდელმან ისარი... და უცხოობასა შინა განმავდო, ყოვლის ნივთისა და საზოგადოვანც ცარიელ ქმნილი»²⁹. რ. ზუბაშვილის წართვლობაზე მეტყობის აგრეთვე შემდეგი სიტყვები: «არცა გონება ჩემი ჩემთან არ იყო შემოკრებული, დიდის მწყალობისაგან, ვითარცა მმართველს: სამკვიდროს მოეშორდი და ამა სიღარიბესა და უცხოობასა შინა ვიმყოფებოდი. განსაჯეთ თუ ვითარი გონება დაუწყნარებელი ცხოვრება მექნებოდა...»³⁰ წერილის ავტორი მოხლოეს უცხოეთად თვლის, ხოლო სამკვიდროს საქართველო მიაჩნია. იგი რომ წარმოშობით ზუბოვი ყოფილიყო, ეროვნული თვალსაზრისის მიხედვით პირიქით იტყვად — საქართველოს უცხოეთად მოიხსენიებდა, ხოლო რუსეთს, კონკრეტულად მიზნოვს — სამკვიდროს ანუ თავის სამშობლოდ.

რ. ზუბაშვილთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ერთი, მეტად სასულიერო გარემოება. როგორც პირობ. 3. გუგუშვილი შენიშნავს რ. ზუბაშვილი ორ გვარსსეულ ატარებდა — რაზმაზე — ზუბაშვილს³¹. ამ საკითხის ირრველ პირობ. 3. გუგუშვილისაგან განსხვავებით სულ სხვა წარმოდგენა ჰქონდა ზ. ზვინიძეს, იგი

რაზმაძეს და ზუბაშვილს ცალ-ცალკე პიროვნებად რჩებად³². ამას მოწმობს ის გარემოება, რომ ზ. ზვინიძეს თავის წარმომავლობის ისტორია ქართული სტამბისა და წიგნების ბეჭდვის 1709—1909 წლებში³³, მათ ერთმანეთისაგან გამოყოფილებად, ცალ-ცალკე იხსენიებს. ერთგან იგი წერს: «რომანოვ ზუბაშვილი, ზოგინ ზუბაშვილი ზმარობდა ამ გვარს. მიცოდენ სისტემა საქმეების, ესე იგი ამწყობი და დამბეჭდვ. არის თანამედროვე ერეკლესი და ქრისტიანული და დღითი ექვერეშვებისა. უშაგრესად გაემეც სტამბის სი ყოვლია და კვერთაშვილებუნდ უფროსობაც უნდა ჰკავებოდა სტამბაში»³⁴. — მირეგავან ამბობს: «რომანოვ რაზმაზე. იმერთის სტამბის ამწყობი და მბეჭდველი 1796 წლებში»³⁵.

ზ. ზვინიძე სცდებდა. ზუბაშვილი და რაზმაზე ერთი და იგივე პიროვნებაა. იგი ჩვენს მიერ ზემოაღნიშნული რომანოვ ზუბაშვილი — რაზმაზეა. ამ ორი გვარსსეულითა მოხსენიებელი იგი 1788 წელს თბილისში ერეკლე II სტამბაში დაბეჭდულ «ხატების» ბილიოციფტყვობაში³⁶, 1791 წელს იმავე სტამბაში გამოცემული «სამოციფტყვობა მინაბეჭდვში»³⁷. რაზმაზე — ზუბაშვილი და იხსენიება იგი აგრეთვე 1803 წლიდან 1809 წლამდე ქუთაისის და სოფელ წესში დაბეჭდულ წიგნებში. გამოაზღვრის წარმოადგენ მხოლოდ 1796 წელს მიზნოვლი და ბეჭდველი, გაიხვ რეპრობისაგან განვხვანილი წერილი და 1803 წელს ქუთაისში გამოცემული «ვიგორაკის სახარება», სადაც იგი ერთი გვართ — ზუბაშვილია და მოხსენიებული.

რაზმაზე — ზუბაშვილის შესახებ ორგვერი საკარული მოსარება გვაქვს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რომანოვის ნამდვილი გვარი რაზმაზეა, ხოლო ზუბაშვილი მამის სახელდანა ნაწარმოებია და აღნიშნავს, თუ ვისი შვილი ანუ ძე იყო რომანოვ რაზმაზე. როგორც ჩანს, მამისის ზუბა რქეული. ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მტყვევლებს ის, რომ თოღ რიგ ამანაწერებში სიტყვა «ზუბაშვილი» დღევანდელსა წარმოადგენილი — «ზუბა-შვილი». ამვე დროს გამოირჩევილი არ არის, რომ «ზუბაშვილი» პაპიდან, ანდა პირთუ ისე შორიული წინაპრის — ვინმე ზუბა ანუ ზუბალა რაზმაზედ ამომდინარე შტოს საგვარეულო სხეული იყოს. რადანაც, თეთი რომანოვი ჯერ კიდევ ორ გვარს ატარებს, უნდა ვიუღლისმით, რომ ზუბაშვილის რაზმაძისაგან ცალკე გვარად გამოყოფით ცდა ახალი დაწყებულია და მას დამოუკიდებელი არსებობის უღებლად ჯერ კიდევ არა აქვს მოპოვებული.

არ შეიძლება დუმილით აგუარობთ გვერდს კიდევ ერთ გარემოებას. 1777 წელს, გაიხვ რექტორის მიერ რუსულიდან თარგმნილი წიგნს — «კითხვის სიზრბა» აქვს შემდეგი მინაბეჭდი: «დასრულდა დიდება ღ-თისა: თვეს სექტემბერსა ქ-ქ უბან კელითა მესტამბე ზუბანს შვილის მოურავის ძის რომანოვისათჳსა»³⁸. თუ ზუბა ანუ ზუბალა რაზმაძის რომანოვის მამად ჩაეთვლით, ზემოთყვანილი ამანაწერიდან გამომდინარე, რომ იგი მოთავსი ყოფილი, მაგრამ ვინა? — ამის დადგენა შეუძლებელია, სანამ მიუკვლეული არ იქნება სათანადო საბუთები.

ესა რამეც დასტავებით ცნობა რაზმაზე რომანოვ ზუბაშვილის ვინაობის შესახებ არ გავაგვიანია.

რაზმაზე რომანოვ ზუბაშვილი მოხლოვან ქუთაისში ჩამოსვლისანავე ერთთვის მივე სოლომონ II «ვიგორაკი თვისობის ახლობელი», გულთბილიად მიუღია და უხვადაც დაუმწყალობებია. მოვეგვიანებს სოლომონის მიერ გაცემული წყალობის სიგელი, რომელიც საინტერესო ცნობებს გვაწევდის რაზმაზე რომანოვ ზუბაშვილის ქუთაისში დასახლების შესახებ. აქედან ვგვახლოობთ, რომ იმერთის მეფეს მისთვის, სოფელ წესში არსებული რაჯის ერის-

²⁸ ქართული წიგნი, 1941 წ., გვ. 71, 73.
²⁹ იქამა: 83, 73.
³⁰ მიზნოვლის დაბეჭდილი წიგნების შესახებ იხ. «ქართული წიგნი», 1941 წ., გვ. 74.
³¹ ა. ბ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929 წ.

³² ზ. ზვინიძე, ისტორია «ქართული სტამბისა» და წიგნების ბეჭდვისა 1709—1909 წლებში, 1909 წ., გვ. 9.
³³ იქამა: 83, 8.
³⁴ ქართული წიგნი, 1941 წ., გვ. 66.
³⁵ იქამა: 83, 67.
³⁶ ი. ორბელიანი, ქრონიკები, წიგნი III, 1967 წ., გვ. 56.



თავის სასახლე, ადგილ-მამული და ყმა გლეხები უჩუქებია. საბუთ-ში ვკითხულობთ: «ქ. სამების ყოფილი წმინდის ძალით მუჟღის მამისა, მისა და სულისა წმინდისა მინდობილმან ჭეშმარიტებით მასასოფელმან და საერელსა ქვეშ ნებისა მისისა შერდრობილმან სოლომონისა პანკრატანამან ყოფისა იმერეთისა და სამთავროთა მპყრობელმან აღაქსანდრეს ძის ძემან მეორემან, მეფეთ მეფემან სოლომონ და თანაქსედრემან ჩემბა დადიანის ასულმან მარიამმა ესე წყალობის მტკიცე წერილი და საიღია ადვირწრეთ და გიბო-თეთ შენ ზუბაშვილის ქართლად მესტამებს, რომანოზს და შვილითა შერთა იოანეს, დავითს და აღლქსანდრეს და მონასახლსა სახლისა შენისათა მზუხეთი ამით და ამა პირის ზედა: პირველად სანატრ-ელის პაპის ჩემის მიფის ირალის გაზრდილი იყავ და შენის ხელო-ვნების სწავლისთვის მრავალი დასარჯოვად და საქართველოს შფო-თიარების მიზნით შენის ცოლ-შვილით რუსეთს ვარდასულ იყავ. ჩვენ ვითარცა სუფისა ტყაობისა მოსურველმან და ჩვენის ქვეყნის შემბატების პირუწყველად, რადგან ჩვენს ქვეყანას ესმარებო-დი დასწავლადი და ხელოვანი კაცი იყავ და პაპის ჩემის ნაბაგვევი, ამისთვის ერთ-გზის და ორ-გზის წიგნი მოგწერეთ რუსეთს და წყალობა აღეთქვი და რუსეთიდან გარდმოგყვანეთ შენის ცოლ-შვილით და რადაც ჩვენს ქვეყანას შევმსავსებოდა, ისე შევიან-ხეთ, წყალობა გიყავით და გიბოძეთ სოფელ წესს სასახლე, ერის-თვის ნაქონები თავისი სახნავ-საოვით, ჭლით, წიქსქელით და მარინის, ვენის ბარაკონის ვენისას ვეგრდეთ; სასაფლო ბარაკონს თავისი ტყის მიმობლა მინდა ტბისა გადწერე, რაცა ვინდა იხმა-რე. ამის გარდა კიდევ წყალობა გიყავ და გიბოძე იქვე გლეხი მო-სახლე ცაბეტი»³⁷.

ქართულ საისტორიო მწერლობაში აღნიშნულია, რომ 1800 წელს კ. პაპიჭაძის ხელმძღვანელობით გამართული სტამბა შემდეგ სოფელ წესში გადაიტანია. ეს ცნობა საიღია არ მიგვაჩნია, მაგ-რამ არიდას, სახელდობრ რომელ წელს უნდა გადაეტანათ სტამბა ქუთაისიდან წესში, ერთგვარ კორექტივას და დაზუსტებას მოი-თხოვს. პროფ. კ. გუგუშვილის აზრით გადატანა 1807 წელს «ფსალ-მუნის» დაბეჭდვის შემდეგ უნდა მომხდარიყო. იგი წერს: «1807 წელს ქუთაისში დაიბეჭდა კიდევ «დვით სუღერიო წიგნი ესე ფსალმუნთა»... მალე ამის შემდეგ სტამბა ქუთაისიდან სოფელ წესს გადაუტანიათ, სადაც 1810 წელს დაიბეჭდა «სავედრებელი ღვთის მშობლობისა»-თ»³⁸.

სამწესხაროდ, პროფ. კ. გუგუშვილის ცნობაში მოყვანილი სტამ-ბის გადატანის თარიღი და წესში დაბეჭდილი პირველი წიგნის გამოცემის თარიღი არ შეეფერება სინამდვილეს, როგორ შეიძლება სტამბა 1807 წლის შემდეგ უახლოეს ხანში წესში გადაიტანოდა მივიჩნიოთ, როცა ჩვენ ხელთა ვვაქვს 1808 წელს, ვადრევე, ისევე ქუთაისში დაბეჭდილი წიგნი «ქაინი», რომლის თავგურცელზე წერია: «დაიბეჭდა საღმრთო და საეკლესიო წიგნი ქაინი... სამე-ფუთოს ქაღალტა ქუთაისის, პალატის სამეფოსა: წიგნის დასაბამით-გან სოფლისა კტივი; ქრისტეს-აქეთ ჩქმ თოუშსა იფლისა»³⁹. ამრიგად, ფსალმუნის დაბეჭდვის შემდეგ სტამბა ისევ ქუთაის-შია, რომელშიც 1808 წელს გამოცემა ზემოაღნიშნული «ქაინი». რაც შეეხება სოფელ წესში გამოცემულ პირველ წიგნს, აშკარად დატვირთული პროფ. კ. გუგუშვილის ცნობა ვეჭვს არ იწვევს, ეს წიგ-ნი მარცხად «სავედრებელი ღვთის მშობლობისა» ყოფილა, მაგრამ იგი დაბეჭდილია არა 1810, არამედ 1809 წელს⁴⁰.

ქუთაისიდან სოფელ წესში სტამბის გადატანის შესახებ, თავი-სებურ მოსაზრებას გამოთქვამს დ. კარიჭაშვილი: «1809 წ. რაღაც მიზეზით სტამბა ქუთაისიდან გადაუტანიათ სოფ. წესს, რაჟაში და

იქ დაბეჭდილით:
1809 წ. სავედრებელი ღვთისმშობლისა... ამავე წელს [სწრე შემქ-ნა] დგვის 1810 წლის დამდგეს სტამბა უკანვე გადმოტანნათ ქუთაისის და დაბეჭდილით:
1810 წ. ლოცვანი... ამის შემდეგ სტამბა ხელახლად გადაუტა-ნიათ ქუთაისიდან სოფ. წესს და იქ დაბეჭდილი:
1811 წ. გამოურული საღმრთისწაული...»⁴¹.

დ. კარიჭაშვილის მოსაზრება უმართლმოდ მიგვაჩნია. სტამ-ბის ერთდროს მეორე ადგილის გადატან-გადგობაზე და ისიც იმ-დროს, არც ისე დიდი იქნებოდა. ჩვენის აზრით, პირველ ხანებში სტამბა ორივეგან — ქუთაისში და სოფელ წესშიც არსებობდა. რომლებსაც ერთდროულად ერთი და იგივე პირები ბეჭდვდნენ წიგნებს, შეიძლება ათქვას, რომ წესის სტამბა ქუთაისის სტამბის ერთგვარ ფილიალს წარმოადგენდა.

სოფელ წესში სტამბის განხილვის შემდეგ რ. ზუბაშვილის დიდხანს აღარ უცოცხავია. 1811 წელს გარდაცვლილა და მის მავთერად, სასტამბო საქმეს სთავაზუბ მისი შუთანა შვილი დავითი ჩაიღობია. წესში დაბეჭდილი «გამოურებული საღმრთისწაული»-ში ვკითხუ-ლობთ: «...დაიბეჭდა საღმრთო და საეკლესიო წიგნი ესე გამო-ურებული საღმრთისწაული სოფლისა წესს წელთა დასაბამით-გან სოფლისა, კტივი, ხოლო ვანკარციელებითგან სიტყვას მდრთისა, ჩყია, თოუშსა ავკსელისა კა. გულს-მოდებინებთა. შრომითა და ლუაწითა ყოფილად საძლედელოსა ნიკოლოს-წმი-დის აზრებითა სფორმისისათა. ჭლითა მესტამბე რომანოზ ზუბა-შვილისათა, რომელიცა მიყვალდებულ-იქნა უწინარეს ბეჭდვისა ამის. ხოლო შემდგომად მიყვალბების მისისა და, ძემან მისმან, მეს-ტამბემ დავითი, ვიწყე და აღვასრულე, ძალითა კუთისათა»⁴².

მალე სოფელ წესში ახლად დაარსებული სტამბა გაუქმებულა და იგი საჩქრელი ზ. წერეთლის სასახლეში გადაუტანიათ. «1812—1814 წლებში იმერეთში დაბეჭდილი წიგნი არა ჩანს. — გამოგე-ცემს დ. კარიჭაშვილი, — ცხადია, იმერეთის პოლიტიკურმა ცვლი-ლებამ (რუსეთთან შეერთებამ, რომელიც მოხდა 1810 წ.) ხელი ვერ შეუწყო სტამბის მუშაობას. რამდენიმე წლის უხმარებლად მუშაის დროს სტამბა აღბნა დაზიანდა. ამიტომ სტამბის უხუ-ცემსა, ზურაბ წერეთელმა, როდესაც მოინდომა სტამბის მუშაობის ხელახლად დაწყება თავისი სოფლის სახსრებით, რუსეთიდან გამო-იწერა ორას სამეტი თუმნის სტამბის აიარლი, ტყვიან და სტამბის მორწყობა მაინდ არქიმანდრიტ ზაქარაის, რომელიც მანამდე ქუ-თაისის სტამბას მართავდა. ზაქარია არქიმანდრიტმა, ერთის მხრით, და ზურაბ წერეთელმა და მისმა შვილმა გიორგიმ, მეორე მხრით, დასდეს ხელშეკრულება, რომლის ძალით ზაქარაის საჩქრ-ეში, წერეთლის სასახლეში უნდა გაემართა სტამბა და ებეჭდა იქ წიგნები წერეთლის ხარკით. ხარკის დაფარვის შემდეგ შემოსი-ლითგან ორი მისამდე უნდა რეგობათ წერეთლებს, ერთი მისა-მდე ზაქარაის. ამასთან ზაქარაის ჰქონდა უფლება ებეჭდა თავის ხარკითაც და შემოსავალიც მიიღო მისი ყოფილიყო»⁴³.

1815 წელს საჩქრეში იმეჭდა პირველი წიგნი «სამოციქულო» ხოლო 1817 წელს — «სასარგამო». 1821 წლიდან სტამბა კვლავ ქუთა-ისში გამოაქოვ, სადაც იმეჭება 1820 წელს სომხდარი აჯანყ-ების მონაწილე იმერეთის მცხეთურთა პატრიების მიზნით მფის რუ-სეთის მთავრობის მიერ გამოცხადებულ ამნისტიაში — «საიერ ცხადებად ქმნობრეთსა მდინერეთსა»⁴⁴. ასეთია ქუთაისში პირველი სტამბის დაარსებისა და მასში ქარ-თული წიგნების ბეჭდვის ზოგიერთი საკითხი.

41. დ. კარიჭაშვილი, წიგნების ბეჭდვის ისტორია, 1929 წ., გვ. 107, 108.
42. ქართული წიგნი, 1941 წ., გვ. 87.
43. დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნების ბეჭდვის ისტორია, 1929 წ., გვ. 109.
44. ქართული წიგნი, 1941 წ., გვ. 92.

37. ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საბუთი № 1139.
38. კ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929 წ., გვ. 95.
39. ქართული წიგნი, 1941 წ., გვ. 86.
40. იქვე.



მრავალმხრივი შემოქმედი

გიორგი ჩიკვაძე



ამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოუშვა გამოჩენილი ქართველი მხატვარი ქალის, თამარ აბაქელიას ნამუშევართა ალბომი; მისი შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორია გულნარა ჯაფარიძე. გაოცებთ თამარ აბაქელიას შემოქმედებითი დიაბაზონი,

თემატური მრავალფეროვნება, სიუჟეტთა სიმდიდრე, ხანების სიმრავლე და სახვითი ხერხები. იგი იყო მოქანდაკე, ფერმწერი, გრაფიკოსი, წიგნის ილუსტრატორი, მასვე ეკუთვნის სპექტაკლებისა და კინოფილმების მხატვრული გაფორმება. ალბომის დათვალეობისას გაგახსენდება მხატვარი

ქალის სიტყვები: „მე ვარ მხატვარი, მოქანდაკე, გრაფიკოსი, მაგრამ განა თეატრში ვერ ვიმუშავებდი? ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ამა თუ იმ დარგით თავის შემოსლუდვა! რატომ არ შეიძლება ერთდროულად ხატვა, მერწვა, სპექტაკლებისა და თვით ქუჩებისა და სახლების გაფორმე-

ბაცა? განა ჩვენი დროის მხატვარი ცხოვრების მრავალმხრივი მოთხოვნების მიხედვით არ უნდა ცხოვრობდეს?“ რამდენად თანადროულად ეღერს ხელოვანის მიერ ოთხი ათეული წლის წინ წარმოთქმული სიტყვები, რომლებიც შეიძლებოდა ეპიგრაფად წამღვარებოდა მისსავე ნამუშევრების ალბომს.

ალბომის შემდგენელი ის გულნარა ჯაფარიძის დამახარებია, რომ შესაძლო მკითხველისათვის დაინახებინა ადგილი თვის მრავალფეროვნება, ტიტანური შრომა, ურომილიდაც ყველი ტალანტი უნაყოფიანთისაა განწირული. ალბომში თამარ აბაკელიას შემოქმედება ძირითადად პროზოლოგიურად არის წარმოდგენილი (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა). შეიძლება სხვა გზის არჩევაც, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს პრინციპი უფრო სწორია, რადგან მკითხველი თავლანთლივ ხედავს, როგორ იქცეობდა თ. აბაკელიას შემოქმედებითი გზა, როგორ იხვეწებოდა და იზრდებოდა მხატვრის ოსტატობა, ხატვის ტექნიკა, კომპოზიციის გრძობა.

თამარ აბაკელია თავისი ეპოქისა და ეჭვების ჭეშმარიტი შეილი იყო. და ამას თვალნათლივ ადასტურებს ალბომი. ხელოვანის ხანმოკლე სიცოცხლის განავლობაში ჩვენს ქვეყანაში ბევრი ძირეული ცვლა და მოვლენა მოხდა: კოლექტივიზაცია, ინდუსტრიალიზაცია, კულაბობის ლიკვიდაცია, საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა ფაშისმის წინააღმდეგ... ამ თემებმა ღირსეული აასხვა პოევის მის შემოქმედებაში.

მხატვრის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია ქართულ სივრცელ და ალბომში წარმოდგენილი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების რეპროდუქციათა შორისაც მკითხველს თვალში მოხვდება: „იმერული ბიჭის პორტრეტი“, „ჩაის კრეფა“, „ნარიჩხის კრეფა“, „ჩანახატი“, „ბედნიერი ოჯახი“, „ქალიშვილი ყურმითი“... ეს ნამუშევრები გამოირჩევიან ტიპის, ქართული კოლორიტის ორმა ცოდნით და მეტად თავისებური და საინტერესო კომპოზიციური გადაწყვეტით.

თამარ აბაკელია ძირითადად გუპოთ, სახეინთა და სეპიათი ხატავდა. ამდენად თითქოს თავს ოხუდვდა, მაგრამ მათთვისაც კი, ვინც არ იცნობს მისი ნამუშევრების ორიგინალს, ალბომში წარმოდგენილი რადნიმე ფერადი რეპროდუქციითაც კი ნათელი უნდა იყოს, თუ რა დიდ წარმატებას მიაღწია მან ნამუშევრების ფერწერულად გადაწყვეტაში. მათ წინ გადაიმოხებდა ფერმა მთელი გამა, ხან მეტად მსუყე და მკვეთრი, ხან კი ღირვანული, ერთი ნახევარტონიდან მეორეში გადამავალი, სადაფიეთი სხვადასხვა განათებისაგან სხვადასხვა შეფერილობას რომ დებულობს.



ურა ჯაფარიძე

თამარ აბაკელიას პორტრეტი

თამარ აბაკელიას მიერ გამოსახული ფიგურები მოცულობის შეგრძნებით, დინამიკურობითა და ექსპრესიულობით წარმოხედვითაა ორიგონალიზაციისა და იმპრესიონიზაციის ადამიანები. მან ბრწყინვალედ იცოდა ადამიანის სხეულის ყველა სადუმლო. კომპოზიციურად რა რთული ნამუშევრებიც არ უნდა იყოს, გმირები ყველთვის დალდა, თავისუფლად გამოიყურებიან. მის ნამუშევრებში მუდამ იგრძნობა მოქანდაკის ხელი.

ალბომში საკმაოდაა წარმოდგენილი თამარ აბაკელიას

სკულპტურული ქმნილებები, მკითხველს ნათლად წარმოუდგება თუ რა დიდი და მასშტაბური სამუშაო ჩაუტარებია მოქანდაკეს. აქ ძალაუხერხურად ისევ გაგახსენდება თ. აბაკელიას სიტყვები, როდესაც ის ქუჩებისა და სახლების გაფორმებაზე ლაპარაკობდა... მათთვის, თითქმის მის ყველა ნამუშევარი ნათლად ჩანს, რომ ისინი მხოლოდ სამხატვრო ხალხისთვის არ არიან შექმნილი. დასრულებული ფიგურა ჩვენ წინ თუ მხოლოდ ესკიზურ ფორმაში გამოქვამენ-

ბული, იგრძნობა, რომ ყოველზევე ეს გახეობილია დიდმა ქალაქის მოედნებისათვის, ქუჩებისათვის. რაც შეეხება სახლებს, მოქანდაკემ პრაქტიკულად დააბეჭადა თუ რა დიდი მასშტაბისა და გაქანების უნარი შესწევდა, როდესაც მარტინს-მლენინისის ინსტიტუტის ფასადის ფრესის ბარელიეფები შექმნა. ალბომში მოცემულია რამდენიმე ესკიზი სკულპტურისათვის, რომლის გაკეთება, სამუშაოდ, აღარ დასცალდა მხატვარს ქალს.

ფართოდ არის წარმოდგენილი თ. აბაკელიას შემოქმედების მეტად საინტერესო ნაწილი — წიგნის გრაფიკა, თეატრისა და კინოს მხატვრულ-დოკუმენტური გაფორმება. სწორედ აქ გამოჩნდა თამარ აბაკელიას სწრაფი ეპიკურიობისაკენ: „ვეფხისტყაოსანი“, ვაჟს „ველის მშველი“, „სტუმარ მასპინძელი“, „გოგოთურ და აფშინა“, თეატრში — „მოკვილი“, „ხევისბერი გოჩა“, კინოში „იორიკი სააკაძე“ და „დავით გურამიშვილი“, „არსენა“ — ამას ნათელიყოფენ.

თამარ აბაკელიას მიერ შექმნილი ესკიზები გასდნენ მხოლოდ ესკიზის დანიშნულებას და დამოუკიდებელი ცხოვრების უფლება მოიპოვეს. საკმარისია თვალთ გადავლოთ მის ესკიზებს — „იორიკი სააკაძეს“, „არსენას“, „შადიმანს“, „ფასადანს“, რომ დაგაოცოთ მხატვრის მიერ სახის დანახვამ, ტიპისა და სახისთვის ბრწყინვალე ცოდნამ, ადამიანის ფსიქოლოგიურ პლასტიკებში შეჭრის უნარმა.

ალბომის უკანასკნელი გვერდი დამთბობილი აქვს მხატვრის ბოლო, დაუმთავრებელ პეისაჟს. ეს მეტად სიმბოლურია, რადგან მთელი მისი შემოქმედება ჰგავს მეტად ლამაზ და დაუმთავრებელ, შეწყვეტილ სიმღერას.

ეს პატარა წიროლი გვირდა დაგამთავროთ ალბომის შემდგენელის გულნარა ჯაფარიძის სიტყვებით: „თამარ აბაკელიას მრავალფეროვანი მხატვრული შემოქმედება ხელთახლო ჩლის მეტად უროლსა და წინააღმდეგობით საყვე ბუნების გვიხატავს — მებრძოლსა და მოეცნებეს, ნებისყოფიანსა და ლირიკულს და იქნებ ამიტომ უფრო ადამიანურად და მთლიანს“.

თუცა გამოცემა დასრულებული არ არის ხარვეზებისაგან (რეპროდუქციები უნარისაგან გამოიყურებიან), თამარ აბაკელიას ალბომის გამოცემით „ლიტერატურა და ხელოვნება“ კეთილი საქმე გააკეთა.



ურა ჯაფარიძე

ვანო ნაცვლიშვილის პორტრეტი

მატერულად, გემოვნებით გაფორმებულ პატარა წიგნს ჰქვია „გზა ჭეშმარიტი“. ჟურნალისტ ზურაბ ჩილაჩავას ეს ნარკვევი ეძღვნება უბრალო მშრომელ ადამიანს, ნიჭიერსა და საერთო საქმისთვის თავდადებულს — პოლიგრაფიული მრეწველობის ძველ მოღვაწეს, პირველ ქართველ ცინკოგრაფს, მწერლებისა და ჟურნალისტების, მხატვრებისა და პოლიგრაფისტების, რედაქციებისა და გამომცემლობების მუშაკთა ახლობელს — ვანო ნაცვლიშვილს. 70 გვერდზე, რამდენიმე თავში მოთხრობილია მისი ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომისა და და სიმწლეებითი სასვე მოღვაწეობის შესახებ.

ქართული ცინკოგრაფიის ისტორია განუწყრელია ვანო ნაცვლიშვილის სახელთან. უნდა აღინიშნოს, რომ ნარკვევის ავტორს, ამ საქმის ოსტატის ცხოვრების პარალელურად, საინტერესოდ აქვს გადმოცემული ქართული ცინკოგრაფიის შექმნის ისტორიაც.

ნარკვევის პირველი თავი გვაცნობს ნაცვლიშვილ ბი ს ოჯახს, ზოგადი შტრახით გვიხატავს იმ უკუღმართ დროს, როცა მშრომელ ადამიანს არამც თუ სწავლაზე ოცნებაც არ შეეძლო, არამედ ლუკმაპურიც გაჭირვებოდა. წარჩინებით დაამთავრა ვანო ნაცვლიშვილმა საქალაქო სასწავლებელი. მამამისი — მათემატიკის მწიგნობარი იყო, გაჭირვებით არჩენდა ოჯახს. მიუხედავად ამისა, მტკიცედ აქონდა გადაწყვეტილი — შვილს სწავლა გაეგრძელებინა,

ლვის საშუალება სამუდამოდ მოესპო... აქედან იწყება ტაბუკის პირველი შრომითი ნაბიჯები. ალექსანდრე ჯაბადარის სტამბაში მივიდა ვანო ასთამწყობის ხელობის შესასწავლად, რომ ორიოდ გროში მიეწოდებინა უპატრონოდ დარჩენილი ოჯახისათვის. ჯაბადარმა ვანო შევირდად მიაბარა გერმანიიდან მოწვეულ ცინკოგრაფს — ბიუნჯ ერს, რომელიც თავისი პროფესიის „საიდუმლოებას“ მტკიცედ ინახავდა და არც კი აპირებდა „ეღუპრი აზიულები-სათვის“ კლიშურის დამზადების ოსტატობა შესწავლებინა.

მაგრამ ნიჭიერმა ახალგაზრდამ საოცარი მონდომება და ცინკოგრაფის საქმის შესწავლის დაუოკებელი სურვილი გამოიჩინა. მიაღწია კიდევ საწავდელს. პროფესიას დაეუფლა და მალე შესცავა „შეუცვლელი“ ოსტატად.

თუ რა ძნელი იყო ამის მიღწევა, რამდენი განიცადა ვანო ნაცვლიშვილმა, სანამ ცინკოგრაფიის საიდუმლოებას დაეუფლებოდა — კარგად აქვს აღწერილი ზ. ჩილაჩავას. ჯაბადარის სტამბაზე უკვემრდებდა ვანო ნაცვლიშვილი რევილუციურ წრეებს, ეხმარება მათ და თვითონაც ემეება ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საინტერესოდ არის მოთხრობილი ვანოს და იაკობ გუგუშვილის მეგობრობაზე. მამნიდელი მოწინავე ქართველი საზოგადოება დიდ პატივს სცემდა ვანო ნაცვლიშვილის ნაყოფიერ შრომას, განსაკუთრებით აკაკი წერეთელსა და ვალერიან გუნიას უცვლადთ

მონობაკუნია

პროფის ალამიანსე

კონა მიქაძე

დღე და ღამ მუშაობით წელეზუ ფეხს იფამდა, ლუკმას იკლებდა, რომ „სწავლის ფული“ შეეგროვებინა ცოდნას დაწავებული შვილისათვის. მაგ-

რამ ვერ შეისრულა წაილი — ხარკიოებიანდ გადმოვარდა და დასახიროდა.

ოჯახში მარჩნელი დაპარკა. ვანოს სწავლის გაგრძე-



ენერგიული ახალგაზრდა. მათთან მეგობრობა და ნაცნობობა ძალას მატებდა და მომავლის რწმენას უნერგავდა ატაუებს.

ვანო ნაცვლიშვილი ცდილობდა რაც შეიძლება მეტი შეეროდა აყვანა და შეესწავლებინა ცინკოგრაფის იმავითი ხელობა. თავდაუზოგავად ასწავლავდა მათ კლიშეების დამზადებას და მრავალი სასახელო ცინკოგრაფიც გაუზრდა ჰართულ ბეჭდვით სიტყვას. მისი ერთ-ერთი მოწაფე გაბო გოგინიაშვილი დღეს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ცინკო-

გრაფიას ხელმძღვანელობს და ამავე დროს თავისი მასწავლებელივით მოხავედ ცინკოგრაფთა კადრებს აწვადებს.

წიგნში ნაბეჭებია, თუ რამდენიმე რამ გააკეთა ნაცვლიშვილმა სტამბების ქართული შრიფტით მიმარაგებისათვის. ფასადუბეჭდილი ღვაწლი დასიდა მან თურნალ „საბჭოთა ხელოვნებას“. 1952 წელს, როდესაც დისავაკაიით ომის წლებში შეწყვეტილი თურნალის გამოცემის აღდგენის შესახებ, ვანომ ივისრა ეარცის ქალაქში ბეჭდვის სინდელუთა გადაღებისათვის ოთხნობა.

ნარკვევში ვრცელად და საინტერესოდა მოთხრობილი ვანო ნაცვლიშვილის მოღვაწეობაზე. თუ დღეს სავეყნოდ განიჭებული ჩვენი ფოტოცინკოგრაფია აღჭურვილია ახალი ტიპის ავტომატური მანქანებითა და ხელსაწყოებით, თუ დღეს ამ დარგის ოსტატთა მთელი თაობა დაუფლებას ფოტოგადაღებას, წამლავს, ბეჭდვას, მაღალხარისხოვანი კლიშეების დამზადებას, ყველა სახის და ხარისხის ქალაქში ბეჭდვის საქმეს — ეს ვანო ნაცვლიშვილის ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგიც არის.



ზურაბ ჩილაბავა

„მსოფლიოს წინაშე ჩამავალი მზის სხივებში თანდათან უფრო მკაფიოდ, უფრო ფართოდ ჩნდება მშვენიერი მხარე — ჩემი მშობლიური საქართველო. კაცობრიობის წინაშე სულ უფრო მეტად იხსნება მისი დიდი ისტორია, უძველესი კულტურა, მისი გასინჯვისუნარილი დღევანდელი და კიდევ უფრო მშვენიერი მომავალი.“

ბულიდან ამოსული ამ სიტყვებით იწყება თურნალისტი მიხეილ დავითაშვილის ახლასან გამოსული წიგნი „რეპორტაჟი საქართველოდან“.

მართალია ოთხსტრიქონიან წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ წიგნში შესულია ნარკვევები რესპუბლიკის ბუნების, მეურნეობის, კულტურის, ხალხის შრომისა და შემოქმედების შესახებ, მაგრამ სინამდვილეში ავტორმა შექმნა საინტერესო მოთხრობა ჩვენი სამშობლის მრავალსახოვან მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაზე, მის არაჩვეულებრივ მშრომელ, შემოქმედ, კაცობრივად ხალხზე, მის მრავალსაკუთრებელ ისტორიაზე — ამ სიტყვების საუკეთესო გაგებით.

